ახალი უნივერსიტეტი

85

16 ნოემბერი, პარასკევი, 2012 წ. №13

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ორიენტაცია შედეგზე და არა პიარ-აქციებზე

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავს. ერთერთი მთავარი საკითხი, რა მიმართულებითაც სამინისტრო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას აპირებს – სტუდენტური თვითმმართველობების რეფორმაა. სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ რატი ბრეგაძემ თვითმმართველობების წარმომადგენლებთან პირველი შეხვედრა უკვე გამართა. თუ როგორ მოხდება სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანოს რეფორმირება და რა სახის ახალგაზრდული პროექტები იქნება სამინისტროსთვის პრიორიტეტული, ამის შესახებ გვესაუბრება სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე.

გვ. 2

საუნივერსიტეტო თვითმმართველობის პრობლემატიკა და მათი მოგვარების გზები — გვ. 3

გაუმხელელი ფიქრები — გვ. 11

რა გზით აპირებენ თსუ-ის ყოფილი პროფესორები უნივერსიტეტში დაბრუნებას — გვ. 2

ვინ? რატომ? რისთვის? — გვ. 4

მაქს-პლანკის ინსტიტუტის პროექტის შემაჯამებელი სამეცნიერო კონფერენცია — გვ. 6

ორმაგი ხარისხის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა — გვ. 12

დოკუმენტური განძის დარაჯად — გვ. 13

ზაფხულის ღამის სიზმარი — გვ. 14

ინტელიგენციის უკანასკნელი მოჰიკანი — გვ. 15

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტი



ზაალ კოკაია

გვ. 7-10

საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფცია და ძირითადი პრინციპები

ტენუარის სისტემა

ტენუარის ინსტიტუტი და აკადემიური თვითმმართველობა

ტენუარი, როგორც აკადემიური თავისუფლების, მიუკერძოებლობის და ხარისხის დამცავი მექანიზმი

ახალ სისტემაზე გადასვლის სტრატეგია

საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო მეცნიერება

საინსტიტუტო სისტემის ისტორიული მოცემულობა და რეფორმის სტრატეგია

დაფინანსება

ორიენტაცია შედეგზე და არა პიარ-აქციებზე

პირველი გვერდიდან

ნატო ოგოლაძე

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, ბუნებრივია, არა თუ გაგრძელდება, არამედ უფრო გაღრმავდება. სამინისტროში ვგეგმავთ გარკვეული სახის რეორგანიზაციას, ასევე, უამრავ გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს. პირველი შეხვედრა, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების საკითხს შეეხო, 12 ნოემბერს მოვაწყვეთ. მოვიწვიეთ უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლები, მათ შორის იყო თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტიც დაჩი გუბაძე. შეხვედრა მეგობრულ და უშუალო ატმოსფეროში საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა. შევთანხმდით, რომ უნდა შევქმნათ სპეციალური კომისია, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმაზე იზრუნებს.

— კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავთ სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმირების კუთხით?

— რეფორმაში ვგულისხმობთ შემდეგს: ბევრ უმაღლეს სასწავლებელში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც პოლიტიკა საკმაოდ უხეში ფორმებით შემოიჭრა. კერძოდ, იყო საკმაოდ ხშირი ზეწოლა სტუდენტებზე. ფაქტობრივად დამყარდა „ერთპარტიული“ მმართველობა. ამიტომ სტუდენტური თვითმმართველობების საკითხი საფუძვლიან გადახედვას საჭიროებს. გასარკვევია კონკრეტული პრობლემები. მაგალითად, სხვადასხვა უნივერსიტეტებში სხვადასხვა საარჩევნო სისტემებია და ა.შ. ამ საკითხების შესახებ ვიმსჯელებთ კომისიის ფარგლებში, რომელშიც ყველა სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები შევლენ. ჩვენ შევთავაზებთ, რომ გაძლიერდეს საუნივერსიტეტო პარლამენტები და რაც შეიძლება შეიზღუდოს ერთპიროვნული მმართველობა. გვინდა, დავეხმაროთ აბსოლუტურად ყველა სტუდენტურ ჯგუფს და ხელი შევუწყოთ ახალი სტუდენტური ჯგუფების ჩამოყალიბებასაც. საკმაოდ კეთილგანწყობილები ვართ სტუდენტური თვითმმართველობების მიმართ და გვინდა, რაც შეიძლება მეტად დაიხვეწოს. ასეთია ჩვენი მიდგომა და თუ ვინმეს სხვა რამე სმენია, ნამდვილად სიმართლეს არ შეესაბამება.

— სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებები აქვთ თსუ-ის სტუდენტურ ორგანიზაციებს „ლაბორატორია 1918“ და „ნარინჯისფერთა კლუბს“. მათი წარმომადგენლებიც შევლენ კომისიაში?

რატი ბრეგაძე

— ჩვენ მოვიწვევთ ნებისმიერ სტუდენტურ ჯგუფს და დაინტერესებულ პირს. თვითმმართველობის რეფორმირებაზე, ფაქტობრივად, ვიმუშავებთ ისე, როგორც მუშაობენ კონსტიტუციაზე, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა ინტერესები. სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმის პროცესში, ბუნებრივია, სტუდენტები უნდა ჩაერთონ. კარგი იქნება, თუ უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციის წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას, ასევე, სამოქალაქო საზოგადოება და მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები. ვაპირებთ იმ უცხოელი სპეციალისტების მოწვევასაც, რომლებიც სტუდენტური თვითმმართველობის კუთხით მუშაობენ. ჩვენი მიზანია, საქართველოში ერთიანი სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის შემუშავებას შევუწყოთ ხელი.

— რაც შეეხება კონკრეტულ პროექტებს, რომლებსაც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური ხელშეწყობით ახორციელებდა, ვგულისხმობ „ერთა ხმას“ და „საერთაშორისო სტუდენტური თვითმმართველობების ფორუმს“, გაგრძელდება თუ არა ამ მიმართულებით თანამშრომლობა და მსგავსი პროექტების განხორციელება?

— მინდა გითხრათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინც პროექტის „საერთაშორისო სტუდენტური თვითმმართველობების ფორუმზე“ იმყოფებოდა სრული ლეგიტიმაციით წარმოადგენდა საკუთარი უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას. ამ პროექტის შესახებ 12 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე დაჩი გუბაძესთანაც ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, შეთანხმების საგანია, მაგრამ მოსაზრებას, რომ ეს ღონისძიება მაინც და მაინც ეფექტური არ იყო, სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლების მხრიდანაც დიდი დავა არ გამოუწვევია. თუმცა ამ ფორუმის ჩასატარებლად საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯა, დაახლოებით 100 000 ლარზე მეტი. ჩვენ კი გვინდა, რომ თანხები მიზანმიმართულად გამოვყოთ ისეთი ღონისძიებების გასამართად, რომლებიც შედეგზე იქნება გათვლილი და არა ერთ ან ორ დღიან პიარ-აქციაზე. სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებს შევთავაზეთ, რომ ფინანსური სახსრები მივმართოთ საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებაზე, სადაც სტუდენტური თვითმმართველობის საკითხებში პროფესიონალი ექსპერტები იქნებიან მოწვეულები და იმუშავებენ თვითმმართველობის საფუძვლიან რეფორმაზე. შესაბამისად, ასეთი სახის ღონისძიებების ფარგლებში, მზად ვართ, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ თვითმმართველობებთან ვითანამშრომლოთ.

რაც შეეხება „ერთა ხმის“ ტიპის პროექტებს, დავაფინანსებთ თუ არა ზუსტად ვერ გეტყვით. პასუხისმგებლობით ვეკიდებით ყოველ ჩვენს ნათქვამ სიტყვას, რადგან რასაც ვამბობთ, აუცილებლად უნდა შესრულდეს. თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ სტუდენტ-ახალგაზრდობას სწავლასთან ერთად გასართობ-შემეცნებითი, კულტურული ხასიათის ღონისძიებებიც ესაჭიროება. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფონდი მალე გამოაცხადებს თავის პრიორიტეტებს და შესაბამისი მიმართულებების შინაარსის პროექტებს დააფინანსებს. ფონდის პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე მუშაობა დაახლოებით ერთ კვირაში დასრულდება.

— დაეხმარებით თავისუფალ სტუდენტებს მათი ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებაში?

— კარგად გვესმის, რომ არსებობს სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფები, რომლებიც შეიძლება ვერ მოხვდნენ სტუდენტურ თვითმმარველობაში, რადგან იმ დროსთვის არ ჰქონდათ სტუდენტების ფართო მხარდაჭერა. დემოკრატია კი გულისხმობს, რომ უმცირესობას მიეცეს გარკვეული შანსი, გახდეს უმრავლესობა. შესაბამისად, ჩვენ შევეცდებით, დავეხმაროთ (არა ჩავერიოთ), რომ მიეცეთ მათ შანსი გახდნენ უმრავლესობა, ითანამშრომლონ სამინისტროსთან. ამავე დროს, როგორც გითხარით, არსებობს ფონდი, რომლის რეფორმასაც ვგეგმავთ. გავაუქმებთ რეესტრს, რადგან ფონდი პროექტს არ დააფინანსებდა, თუ მისი ავტორი ორგანიზაცია რეესტრში არ იყო დარეგისტრირებული. რატომ უნდა არსებობდეს ასეთი სახის შეზღუდვა, ჩემთვის გაუგებარია. მიმაჩნია, რომ აუცილებელი არ არის, მხოლოდ ახალგაზრდული ორგანიზაციების პროექტები დავაფინანსოთ, რადგან შეიძლება 50 წლის ადამიანსაც ჰქონდეს ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებით შესანიშნავი პროექტი. ჩვენი პრიორიტეტი იქნება არა ორგანიზაცია, არამედ კონკრეტული პროექტები. მაქსიმალურად შევეცდებით, რომ დავაკმაყოფილოთ განსხვავებული შეხედულებების მქონე სტუდენტური ორგანიზაციების ინტერესები. თუ, რა თქმა უნდა, მათი პროექტები შესაბამისობაში იქნება სამინისტროს ფონდის მიერ გამოცხადებულ პრიორიტეტებთან. ამასთანავე შევეცდებით, ფონდის საქმიანობა მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს და მის საქმიანობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ გაჩნდეს.

— როგორ მიაწოდებთ უმაღლეს სასწავლებლებს, სტუდენტებს თქვენი მიზნებისა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფონდის პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციას?

— როგორც გითხარით, ჩვენ უკვე შევხვდით სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებს. პირობა მივეცით, რომ აღარ იარსებებს ფავორიტი ჯგუფები. ადრე არსებობდნენ სამინისტროსთან დაახლოებული და პრიორიტეტული პირები და ეს ასე აღარ იქნება. ჩვენ ვართ ამ შემთხვევაში სახელმწიფო, სტუდენტური თვითმმართველობები და სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციები კი საზოგადოების ნაწილია. სახელმწიფო ვალდებულია, რომ საზოგადოების ნებისმიერ წევრს და მათ შორის სტუდენტურ ჯგუფებსაც თანაბრად შეუწყოს ხელი. ჩვენთან ფუნქციონირებს სტუდენტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო, რომელიც მუშაობს ყოველდღიურ რეჟიმში და მათი უშუალო მოვალეობაა, მუდმივად ჰქონდეს ურთიერთობა და სამინისტროს მუშაობის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტურ თვითმმართველობებს, დამოუკიდებელ სტუდენტებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს.

რა გზით აპირებენ თსუ-ის ყოფილი პროფესორები უნივერსიტეტში დაბრუნებას

პროფესორები, რომლებსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული აკადემიური კონკურსების შედეგად, შრომითი ხელშეკრულება შეუწერდათ, საკუთარი ინტერესების დასაცავად აქტივობებს განაგრძობენ. მათ პოლიტიკური ნიშნით და უსამართლოდ გათავისუფლებულ პროფესორთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბეს. ჯგუფის მიერ გავრცელებულ მიმართვაში ნათქვამია, რომ „მათი მიზანია კოორდინაცია გაუწიონ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ნიშნით დევნილი და უსამართლოდ გათავისუფლებული პროფესორების მოძრაობას მათი უფლებების აღდგენისა და დაცვის მიზნით“. პოლიტიკური ნიშნით და უსამართლოთ გათავისუფლებულ პროფესორთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს შეხვედრის თხოვნით უკვე მიმართა.

ნატო ოგოლაძე

„მოგმართავთ თხოვნით, გაიმართოს შეხვედრა თსუ-ში შექმნილი მდგომარეობის გაანალიზებისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, საინიციატივო ჯგუფი რექტორთან გამართული შეხვედრისა და მიღწეული შედეგების შესახებ განათლების მინისტრს მიაწვდის ინფორმაციას, რომელიც პირადად გაუწევს კონტროლს მის მიმართვაში გაჟღერებული ინიციატივის შესრულებას“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც საინიციატივო ჯგუფმა თსუ-ის რექტორს 1 ნოემბერს მიაწოდა.

თსუ-ის ადმინისტრაციის პასუხი ყოფილი პროფესორების მიერ დაფუძნებულმა საინიციატივო ჯგუფმა 5 ნოემბერს მიიღო. თსუ-ის ოფიციალურ პასუხში, რომელსაც ხელს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი არჩილ კუკულავა აწერს, აღნიშნულია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის აკადემიური კონკურსების შედეგები სამართლებრივად დასაბუთებულია და კონკურსანტების პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია არ მომხდარა. თსუ-ის ადმინისტრაცია, თსუ-ის ყოფილი პროფესორების მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელების განხილვის დასრულებას ელოდება და მოქმედებას სასამართლოს განაჩენის მიხედვით დაგეგმავს.

„მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტმა პროფესორები თანამდებობიდან პოლიტიკური შეხედულებების გამო გაათავისუფლა, სიმართლეს არ შეესაბამება. მათ მიერ აკადემიური თანამდებობების ვერ დაკავება განპირობებული იყო ობიექტური მიზეზებით. აღსანიშნავია, რომ თითოეულ კონკურსანტთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის უარყოფითი, სამართლებრივად დასაბუთებულია, რაც მათ პოლიტიკურ დატვირთვას გამორიცხავს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ვერ ხედავს რაიმე სახის კომისიის შექმნის აუცილებლობას, რადგან წინამდებარე წერილიდან ნათლად ჩანს, რომ მოცემული საკითხის განზოგადება და ერთ განსახილველ სივრცეში მოქცევა არალოგიკური და მიზანშეუწონელია, ამგვარი საკითხების ინდივიდუალურობისა და განსაკუთრებით პოლიტიკური ნიშნით მათი გაერთიანების შეუძლებლობის გამო. რაც შეხება უნივერსიტეტში მიმდინარე კონტროლის მექანიზმს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრი, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ჰქონდა და აქვს უნივერსიტეტზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებაც და შესაბამისი მექანიზმებიც. ამდენად, უნივერსიტეტი კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ რამე სხვა მექანიზმებისგან თავის შეკავებას ამჯობინებს,“ — საპასუხო წერილში აღნიშნავს არჩილ კუკულავა.

შეხვედრის ინიციატივით თსუ-ის ყოფილმა პროფესორებმა რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს მას შემდეგ მიმართეს, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის სპეციალური განცხადება გავრცელდა: „მე, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ვთვლი, რომ იმ ავტორიტარულ სისტემაში, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა, ყველა მხარე სისტემის მსხვერპლია. ჩვენი პოლიტიკა რადიკალურად განსხვავებულია და გვინდა, რომ მთელ საზოგადოებაში და განსაკუთრებით განათლების სფეროში აღარ მოხდეს პოლიტიკური ნიშნით დაყოფა. განათლების სისტემა უნდა ემსახურებოდეს მომავალი თაობის აღზრდასა და განათლებას და ისინი უნდა იზრდებოდნენ ჯანსაღ გარემოში.

ამ მდგომარეობიდან ყველაზე ეფექტურ გამოსავლად მიმაჩნია, რომ თითოეულმა თქვენგანმა, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, გამონახოთ ყველანაირი საშუალება, რათა შეძლოთ ერთმანეთში მორიგება და თავიდან დაიწყოთ თანამშრომლობა. ჩემი აზრით, ეს იქნება საუკეთესო გზა არსებული პრობლემის მოსაგვარებლად“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პასუხის შესახებ პოლიტიკური ნიშნით და უსამართლოდ გათავისუფლებულ პროფესორთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის უკვე შეატყობინა. ჯგუფის წევრები ამჯერად მოლოდინის რეჟიმში იმყოფებიან. პრობლემის მოსაგვარებლად თუ რა კონკრეტულ ზომებს მიმართავს სამინისტრო, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, თუმცა 30 ოქტომბერს გავრცელებულ განცხადებაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ასევე, აღნიშნავდა, რომ „მათ კი ვინც, უახლოეს 2-3 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას, ვთავაზობ მეორე საშუალებას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უშუალოდ მინისტრის ბრძანებით შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც არსებულ დავებს გაეცნობა და შესაბამისს გადაწყვეტილებას მიიღებს ჩემთან ერთად. ამ კომისიის შექმნის მიზანია უმოკლეს დროში მოვაგვაროთ შექმნილი პრობლემები. სხვა შემთხვევაში, დავის განხილვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარიმართება“.

პოლიტიკური ნიშნით და უსამართლოდ გათავისუფლებულ პროფესორთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფის ერთერთი დამფუძნებლის ხათუნა ჩარკვიანის ინფორმაციით, თსუ-ის ყოფილი პროფესორების საკითხის განხილვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზეც მოხდება, თუმცა ჯერჯერობით განხილვის კონკრეტული თარიღი უცნობია.

„პირადად მქონდა საუბარი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარესთან ვანო კიღურაძესთან და შევთანხმდით, რომ როგორც კი ბატონი ვანო თბილისში დაბრუნდება, შევხვდებით და კიდევ ერთხელ განვიხილავთ ამ საკითხს და დავიწყებთ მზადებას პარლამენტში საკომიტეტო მოსმენისთვის. კომიტეტის სხდომაზე ყველა უსამართლოდ დაჩაგრული პროფესორი თავისი პრობლემის შესახებ ისაუბრებს და ბუნებრივია, იქნება საუბარი იმ მექანიზმებზეც, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ პრობლემის გადაწყვეტა“, — განაცხადა ხათუნა ჩარკვიანმა.

მანამდე კი, თსუ-ის ყოფილი პროფესორები საინიციატივო ჯგუფის ფარგლებში მუშაობას განაგრძობენ და ყველა იმ პროფესორის

მე-4 გვერდზე

თსუ-სა და ეროვნულ არქივს შორის მემორანდუმი გაფორმდა

თამარ დადიანი

თსუ-სა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანი ეროვნული არქივის საქმიანობის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ინფორმირება, ერთობლივი პროექტების მომზადება-განხორციელება და ინსტიტუციური მიზნების მიღწევის ხელშეწყობა გახლავთ.

მხარეებს შორის თანამშრომლობის პირველ ეტაპზე, თსუ-ის ორგანიზებით, მკვლევარ სტუდენტთა ჯგუფები შეიქმნება, რომლებიც ეროვნულ საარქივო ფონდში დაცულ სამართლებრივ დოკუმენტებზე იმუშავებენ და საერთაშორისო მეცნიერო პუბლიკაციებს მოამზადებენ.

„ეს მემორანდუმი რეალურად არის მრავალწლიანი ურთიერთობის ფორმალიზება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბევრი მეცნიერი, მკვლევარი თუ სტუდენტი იყენებს იმ სერვისს, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივს გააჩნია. ეს მემორანდუმი კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს იქ დაცული დოკუმენტების მიმართ“, -აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

შეხვედრაზე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა გააჟღერა ინიციატივა საქართველოს ეროვნულ არქივში იურიდიული კლინიკის დაარსების შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემს სამართლის ისტორიის მკვლევარებს უფრო ღრმად და საფუძვლიანად ჩაიხედონ არქივის მასალებში. კლინიკის ფარგლებში მოხდება განზოგადება, მეცნიერული კვლევა და დამუშავება იმ დოკუმენტებისა, რომელიც ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება.

„ჩვენ ხელს შევუწყობთ სტუდენტებს, მკვლევარებს, კიდევ უფრო აქტიურად ითანამშრომლონ არქივთან. თსუ-ის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადავეცით წიგნი „მეფე ერეკლე II დოკუმენტების კორპუსი“, რომელშიც შესულია მეფის მიერ ხელმოწერილი და ეროვნულ არქივში დაცული 1300 დოკუმენტის ანოტაცია. ვიმედოვნებთ, თსუ-ის ახალგაზრდა მეცნიერები კიდევ არაერთ მნიშვნელოვან გამოცემას მოამზადებენ არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით“, — განაცხადა საქართველოს ეროვნული არქივის დირექტორმა თეონა იაშვილმა.

მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ ეროვნული არქივის თანამშრომლებმა ანტონ ვაჭარაძემ და ნათია მირიანაშვილმა ეროვნულ არქივში დაცული სამართლებრივი დოკუმენტების პრეზენტაციაც გამართეს.

თსუ-სა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი 14 ნოემბერს გაფორმდა.

ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

საუნივერსიტეტო თვითმმართველობის პრობლემატიკა და მათი მოგვარების გზები

ნატო ოგოლაძე

საუნივერსიტეტო თვითმმართველობის ფორმასა და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, სტუდენტებში აზრთა სხვადასხვაობის გამოწვევის საპასუხოდ, არასამთავრობო ორგანიზაციამ „უფლებების სკოლამ“ და „თავისუფალი დებატების ლიგამ“ დისკუსია მოაწყო. თემაზე — „საუნივერსიტეტო თვითმმართველობის პრობლემატიკა და მათი მოგვარების გზები“ გამართულ დებატებში სტუდენტური ორგანიზაციები: „ლაბორატორია 1918“, „ნარინჯისფერი კლუბი“ და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მონაწილეობდნენ. სტუდენტურმა ორგანიზაციებმა სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირებისა და ფუნქციონირების მათ მიერ შემუშავებული მოდელი წარმოადგინეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, პროფესორი ვახტანგ მეგრელიშვილი და განათლების პოლიტიკის სპეციალისტი ნათია ანდღულაძე.

დისკუსიაზე „ნარინჯისფერი კლუბის“ წარმომადგენლებმა კონტინენტურ-ევროპულ საუნივერსიტეტო სისტემასა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული თვითმმართველობის მოდელი წარმოადგინეს. „ნარინჯისფერების“ აზრით, აუცილებელია ამ საუნივერსიტეტო ორგანოს რადიკალური რეფორმირება ფინანსური და ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის გზით, რაც სტუდენტური თვითმმართველობის ოფიციალური დელეგატების რაოდენობის შემცირებასა და სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოებში, ასევე, სენატში არჩეული პირებით დაკომპლექტებას გულისხმობს. ნარინჯისფერების მიერ შემუშავებული სტუდენტური თვითმმართველობის მოდელის მიხედვით, თვითმმართველობის წევრების მთავარ ფუნქციად ამ სტრუქტურებში სტუდენტების ინტერესების დაცვა უნდა გამოცხადდეს. „ნარინჯისფერები“ ასევე მიიჩნევენ, რომ აუცილებელია თვითმმართველობის საარჩევნო დებულების რეფორმაც.

„შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო, წარმოდგენილი გახლდათ სხვადასხვა ხედვები, შეფასებები. თვითმმართველობის პრობლემატიკა გააზრებული იყო სხვადასხვა პერსპექტივიდან. „ნარინჯისფერმა კლუბმა“ წარმოადგინა თავისი მოდელი, რომელიც კონტინენტურ-ევროპულ საუნივერსიტეტო სისტემასა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებს ეფუძნება. დისკუსიები სტუდენტური თვითმმართველობის თემაზე აუცილებლად გაგრძელდება, ჩვენი კლუბი აწარმოებს კონსულტაციებს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ სტუდენტური თვითმმართველობისა და საუნივერსიტეტო ორგანიზების პოლიტიკურ კურსთა შემუშავებას. ეს პროცესი გულისხმობს მრავალფეროვან და ფართომასშტაბიან დისკუსიებსა და საჯარო განხილვებს საუნივერსიტეტო სტრუქტურების შესახებ“, — განაცხადა „ნარინჯისფერი კლუბის“ ერთერთმა დამფუძნებელმა ლევან ლორთქიფანიძემ.

რაც შეეხება სტუდენტური ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918“-ის ხედვას სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმირებასთან დაკავშირებით, მათ კონკრეტული მოდელი ჯერჯერობით არ ჩამოუყალიბებიათ. თუმცა ორგანიზაციაში უკვე შეისწავლეს სტუდენტური თვითმმართველობების კონტინენტური, ანგლო-საქსური მოდელები და ამჟამად, გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში არსებული თვითმმართველობების მოდელის ქართულ რეალობასთან მორგებაზე მუშაობენ. საბოლოო ვარიანტს „ლაბორატორია 1918“-ის წევრები სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ გაამზადებენ.

„ჩვენ გვჭირდება მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს, რომ ლექტორებთან ერთად სტუდენტებმა მოახერხონ სწავლის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა. მაგალითად, როგორი სილაბუსები სჭირდებათ, რა უნდა ისწავლებოდეს, როგორი ტიპის ბიბლიოთეკები უნდა არსებობდეს და ა.შ. იმისათვის, რომ ამ სახის ჩართულობის ხარისხი გაიზარდოს, უნდა გაძლიერდეს თსუ-ის სენატში სტუდენტების წარმომადგენლობა, რომელიც თვითმმართველობიდან კომპლექტდება. ამ შემთხვევაში კი, უკვე საჭიროა, რომ სტუდენტურ თვითმმართველობაში ყველა სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ და სტუდენტების ინტერესები დაიცვან.

ამ ეტაპზე ვხვდებით სხვადასხვა ტიპის ჯგუფებს და განვიხილავთ თუ ზუსტად როგორი უნდა იყოს სტუდენტური თვითმმართველობის მოდელი. ვაცნობთ მათ ჩვენს ხედვას და თუ არ მოეწონებათ, შეუძლიათ ალტერნატიული ვარიანტები შემოგვთავაზონ. ამ პროცესში აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა სტუდენტებმა და ერთად მოვიფიქროთ საბოლოო ვარიანტი. ვფიქრობ, ეს პროცესი მიგვიყვანს ვადამდელი არჩევნების ჩატარებამდე. სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმირების ჩვენი ხედვა უკვე გავაცანით ბიოლის ფონდშიც. ასეთი ტიპის პროცესები უნივერსიტეტში არასდროს არ ყოფილა. სტუდენტები ლაპარაკობენ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტური თვითმმართველობა. მიდის დისკუსია და ერთმანეთს უზიარებენ განსხვავებულ ხედვებს. მათ სჭირდებათ თვითმმართველობა, რომელსაც სტუდენტები მართავენ და არა — პირიქით. თუ კარგად ვიმუშავეთ და გავაგრძელეთ ეს პროცესები, მივალთ ვადამდელი არჩევნების ჩატარებამდე, რადგან არსებული თვითმმართველობის სახე აბსოლუტურად არალეგიტიმური აღმოჩნდება სტუდენტების ინტერესებთან მიმართებაში“, — აღნიშნა „ლაბორატორია 1918“-ის წევრმა მათე გაბიცინაშვილმა.

დისკუსიას „საუნივერსიტეტო თვითმმართველობების პრობლემატიკა და მათი მოგვარების გზები“ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დაჩი გუბაძე და ვიცე-პრეზიდენტი სოფიო ჩიტაძე ესწრებოდნენ. მათი მოსაზრებით, ამ ეტაპზე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა გამართულად მუშაობს და რაიმე სახის ცვლილების აუცილებლობა დღის წესრიგში არ დგას.

„დისკუსიას დადებითად შევაფასებდი, რადგან ჩვენი ოპონენტების მხრიდან იყო დაფიქსირებული ჯანსაღი კრიტიკის შემცველი პოზიცია. ეს მისასალმებელია ყოველთვის, რადგან, რაც უფრო მეტი აზრია სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებით, მით უფრო კარგად განვითარდება იგი სამომავლოდ. იყო საკმაოდ ცხარე კამათი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და სწორედ ასეთი დისკუსიის ფორმატში იკვეთება საღი აზრი. ასეთი დებატები არის ორიენტირებული სტუდენტური თვითმმართველობის განვითარებისკენ და არა ვთქვათ ის აქციები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ჩვენი ოპონენტები მიმართავენ.

ამ ეტაპზე სტუდენტური თვითმმართველობა არის ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს გამართულად. სტუდენტებისთვის ახორციელებს უამრავ მნიშვნელოვან და საინტერესო პროექტს და ჰყავს საკმაოდ დიდი რაოდენობის აქტიური წევრები. ამ ეტაპზე, პირადად, ვერ ვხედავ რამენაირი ცვლილების აუცილებლობას. თუმცა ჩვენს ოპონენტებს აქვთ განსხვავებული ხედვები სტუდენტური თვითმმართველობის არსებობის და სამომავლო განვითარების შესახებ, რასაც არ ვეთანხმები. არის ძალიან ბევრი საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც მათი პოზიცია ჩვენგან რადიკალურად განსხვავდება. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სწორია ესა თუ ის მოსაზრება, ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტობა, როდესაც არჩევნებში ხმას აძლევს თავის კანდიდატებს. ასე, რომ მომავალშიც სტუდენტები გადაწყვეტენ რომელ სტუდენტთა ჯგუფს უფრო სწორი ხედვები აქვს სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების შესახებ“, — გვითხრა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ.

დისკუსიის დასრულების შემდეგ მონაწილე მხარეებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტური თვითმმართველობის თემაზე დებატების გაგრძელება აუცილებელია. სტუდენტურ ორგანიზაციებს „ნარინჯისფერ კლუბსა“ და „ლაბორატორია 1918“-ს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით უკვე გადაწყვეტილი აქვთ შეხვედრების მოწყობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სტუდენტებთან. თუმცა ამ დროისთვის ცნობილი არ არის — გაგრძელდება თუ არა მხარეებს შორის დისკუსია არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებების სკოლისა“ და „თავისუფალი დებატების ლიგის“ მიერ შეთავაზებულ ფორმატში.

დისკუსია „საუნივერსიტეტო თვითმმართველობის პრობლემატიკა და მათი მოგვარების გზები“ 11 ნოემბერს თავისუფალ უნივერსიტეტში გაიმართა.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მე-12 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში — „ვინ? რატომ? როდის?“, რომელშიც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ფაკულტეტის პირველკურსელების შეხვედრა იყო აღწერილი, დაშვებულია უზუსტობა.

სწორი ინფორმაცია ,,ნარინჯისფერთა კლუბის" წარმომადგენელმა ნინო ტურიაშვილმა მოგვაწოდა, რომელიც აღნიშნავს: „დამოუკიდებელმა სტუდენტურმა ორგანიზაციებმა „socium.ge-მ", „ნარინჯისფერმა კლუბმა", „ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციამ" და „ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბმა" ვერ შეძლეს აუდიტორიისთვის პრეზენტაციების გაკეთება. მათ შეხვედრის ბოლოს გამოაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში ისინი შეხვდებიან პირველკურსელებს".

ᲕᲘᲜ? ᲠᲐᲢᲝᲛ? ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

ახალი სახალხო დამცველის არჩევის საკითხს საზოგადოებაში საკმაოდ ფართო გამოხმაურება მოყვა. საქართველოს ისტორიაში პირველად, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა საკანონმდებლო ორგანოსა და პრეზიდენტს ომბუცმენობის კანდიდატობის რამდენიმე კანდიდატი შესთავაზეს. აღსანიშნავია, რომ პარლამენტისთვის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტს, საპარლამენტო ფრაქციას და პარლამენტის წევრთა სულ ცოტა 6 კაციან ჯგუფს, რომლებიც არც ერთ ფრაქციაში არ შედიან. ამ დროისთვის უკვე ცნობილია, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ ომბუცმენობის თანამდებობაზე ნინო ხატისკაცის კანდიდატურა წარადგინა. თუმცა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები სახალხო დამცველების კანდიდატებად ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილის, უფლებადამცველ ლია მუხაშავრიას და ადვოკატ დიმიტრი ლორთქიფანიძის დასახელებასაც ითხოვენ. ამ ეტაპზე აღნიშნული კანდიდატები საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან შეხვედრებს მართავენ და მათ უფლებადაცვით საქმიანობასთან დაკავშირებით საკუთარ ხედვას აცნობენ. 5 ნოემბერს გელა ნიკოლეიშვილი, ლია მუხაშავრია და დიმიტრი ლორთქიფანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსაც შეხვდნენ. ღონისძიებას, რომელიც სადისკუსიო კლუბში გაიმართა, ორგანიზება სტუდენტურმა ორგანიზაციამ „socium.ge“ გაუწია.

ᲜᲐᲗᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველების კანდიდატებსა და სტუდენტებს შორის 2 საათის განმავლობაში გაგრძელდა. გელა ნიკოლეიშვილმა, დიმიტრი ლორთქიფანიძემ და ლია მუხაშავრიამ სტუდენტებს მათი უფლებადაცვითი საქმიანობის პრიორიტეტები გააცნეს. თითოეული მათგანის ხედვა პატიმრების, სოციალურად დაუცველი და იძულებით გადაადგილებული პირების, უსახლკაროების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების და სამართლიანი მართლმსაჯულების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ერთმანეთს დაემთხვა, თუმცა განსხვავებული აღმოჩნდა მათი შეხედულებები სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების უფლებების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებისა და სექსუალური უმცირესობების უფლებების თემას შეხვედრაზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო. დიმიტრი ლორთქიფანიძისა და გელა ნიკოლაიშვილის აზრით, ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვებელია.

„ჩვენთან პრობლემურია პატიმრების, უნარშეზღუდულების, დევნილების, დაქირავებულების, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა. განსაკუთრებით ორი საკითხია, რომლითაც სახალხო დამცველების კანდიდატები აპელირებენ — პატიმრების და სექსუალური უმცირესობების უფლებები. ცხადია, ციხეებში უნდა არსებობდეს რეჟიმი, მაგრამ ადამიანური და არა იმ მეთოდების მეშვეობით დამყარებული, რომელსაც წინა ხელისუფლება იყენებდა. რაც შეეხება სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს, ვფიქრობ, მათ უნდა ჰქონდეთ თავისი უფლებების რეალიზების საშუალება, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში, რათა სხვა მოქალაქეებს არ შეექმნათ დისკომფორტი. მსოფლიოს 4 თუ 5 ქვეყანაშია მიღებული სექსუალური უმცირესობების ქორწინება. ჩემი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში არის მკვეთრად უარყოფითი“, — განაცხადა გელა ნიკოლეიშვილმა.

რაც შეხება ლია მუხაშავრიას პოზიციას, იგი კოლეგების მიერ გამოთქმული მოსაზრების წინააღმდეგია. მისი აზრით, სექსუალური უმცირესობების ქორწინება საქართველოში დაშვებული უნდა იყოს, თუმცა, რადგან ამ საკითხს სახალხო დამცველი არ წყვეტს, კანდიდატმა ამ ეტაპზე მისი აქტუალიზაცია საჭიროდ არ ჩათვალა.

„ვიზიარებ იმ პრიორიტეტებს, რაც ჩემმა კოლეგებმა ჩამოაყალიბეს. ჩემი აზრით, საპატიმროებში მომხდარი ფაქტები უნდა გამოიძიონ, მოხდეს დამნაშავეთა იდენტიფიკაცია და დასჯა. უნდა ვეცადოთ, რომ სასამართლო გახდეს დამოუკიდებელი. ასეთ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის სწორი აქტიურობა. განსხვავებული პოზიცია მაქვს ერთსქესიანთა ქორწინების საკითხთან მიმართებაში. ვთვლი, რომ ეს ამ ადამიანების უფლებაა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხვალვე შევუერთდები საკანონმდებლო ინიციატივას ან მოვითხოვ ამ უფლების მათთვის დაკანონებას“, — აღნიშნა ლია მუხაშავრიამ.

მას შემდეგ, რაც კანდიდატებმა უფლებადაცვით საქმიანობასთან დაკავშირებით სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებები გააცნეს შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დარბაზიდან დასმული ერთერთი კითხვის მიხედვით, ომბუცმენობის კანდიდატებს, სახალხო დამცველის პოსტზე წარდგენილი კანდიდატურებიდან მათთვის ყველაზე მისაღები უნდა დაესახელებინათ. სტუდენტებს, ასევე, აინტერესებდათ გააგრძელებდნენ თუ არა გელა ნიკოლეიშვილი, ლია მუხაშავრია და დიმიტრი ლორთქიფანიძე იმ შემთხვევაში თანამშრომლობას, თუ პარლამენტი ომბუცმენობის პოსტზე მათ შორის ერთერთს ან სხვა კანდიდატს აირჩევდა. სწორედ ამ კითხვის პასუხად მოწვეულმა სტუმრებმა რამდენიმე სახალხო დამცველის არჩევის ინიციატივა გაახმოვანეს.

„კარგი იქნებოდა ყოფილიყო ერთდროულად რამდენიმე სახალხო დამცველი, რადგან ქვეყანაში ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. ვფიქრობ, ჩვენ სამნი გავაგრძელებთ თანამშრომლობას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ჩვენგანი გახდება სახალხო დამცველი“, — აღნიშნა ლია მუხაშავრიამ.

„თუ ჩემს თავს გამოვრიცხავ, უმცირესობების უფლებების დაცვაში შემოგთავაზებთ თამარ გურჩიანის კანდიდატურას, პატიმრების უფლებების დაცვაში — დიმიტრი ლორთქიფანიძეს, დანარჩენ საკითხებში კი ლია მუხაშავრიას“, — განაცხადა გელა ნიკოლეიშვილმა.

სამოქალაქო სექტორის მიერ წარდგენილმა ომბუცმენობის კანდიდატებმა პატიმრების უფლებების დაცვისა და ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური ვითარების შექმნის მოთხოვნით გამართული სტუდენტური აქციების შესახებაც ისაუბრეს. მათი მოსაზრებით, ახალგაზრდებმა საქართველოში არჩევნების დემოკრატიულად წარმართვის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

სახალხო დამცველების კანდიდატებთან შეხვედრის გამართვა „socium.ge“-ის სადისკუსიო კლუბში კიდევ იგეგმება. ორგანიზატორების განცხადებით, მსგავსი სახის ღონისძიებები აუცილებელია, რათა სტუდენტები ინფორმირებულები იყვნენ ყველა კანდიდატის პოზიციების შესახებ, ვინაიდან მათგან ერთერთის მთავარი მოვალეობა, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა გახდება.

„სახალხო დამცველის თანამდებობაზე წარმოდგენილი არიან სახალხო კანდიდატები. ყველა მათგანს ჰყავს მხარდამჭერები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის სახით. ახლა გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ახალმა ხელისუფლებამ მოუსმინოს საზოგადოებას და არ დანიშნოს სახალხო დამცველი მხოლოდ რომელიმე ფრაქციის გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩვენთვის, სტუდენტებისთვის, კი მნიშვნელოვანია, რომ ჩავერთოთ სახალხო დამცველის არჩევის პროცესში. მოვისმენთ რას გვპირდება კანდიდატი და დავაკვირდებით როგორ შეასრულებს შემდეგ მას“, — გვითხრა „socium.ge“-ს და სადისკუსიო კლუბის ერთერთმა დამფუძნებელმა მიხეილ გაბელიამ.

აღსანიშნავია, რომ სადისკუსიო კლუბის ფარგლებში თსუ-ის სტუდენტები მანამდე სამოქალაქო სექტორის მიერ წარმოდგენილ სახალხო დამცველების ერთერთ კანდიდატს თამარ გურჩიანსაც შეხვდნენ.

ᲔᲕᲠᲝᲘᲜᲢᲔ�გᲠᲐᲪᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ევროკავშირის საუნივერსიტეტო თანამშრომლობის პროგრამა Tempus-ის ფარგლებში ცხადდება ახალი საგრანტო კონკურსი — „ევროინტეგრაცია ქართული უნივერსიტეტებისათვის“.

12 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ახალი საკონკურსო განაცხადების წარდგენას ეძღვნებოდა. წლევანდელი საგრანტო კონკურსის პრიორიტეტები მოიცავს პროგრამების შემუშავებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, მედიცინა, სამართალი, სოციალური, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებები, აგრეთვე, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ინტეგრაცია და საუნივერსიტეტო მმართველობის ეფექტურობის გაზრდა, ხარისხის უზრუნველყოფა და კვალიფიკაციის ჩარჩოს დანერგვა უმაღლესი განათლების სისტემაში. განსაკუთრებულ პრიორიტეტს კი, რეგიონული უნივერსიტეტების მონაწილეობა წარმოადგენს.

ევროკავშირის საუნივერსიტეტო თანამშრომლობის პროგრამა Tempus-ი ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები ევროპელ პარტნიორებთან ერთად შეიმუშაონ და უმაღლესი განათლების რეფორმა ბოლონიის პრინციპების შესაბამისად განახორციელონ. პროექტების ფინანსური მოცულობა 0.5 – 1,5 მილიონ ევროს შორის მერყეობს. წლევანდელი საგრანტო კონკურსის ბიუჯეტი მკვეთრად გაზრდილია და აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებისთვის 42 მილიონ ევროს შეადგენს (შედარებისთვის 2012 წლის საგრანტო ბიუჯეტი 29 მილიონი ევრო იყო).

12 ნოემბერს თსუ-ში გამართულ ღონისძიებას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენლები, ასევე, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ფილიპ დიმიტროვი, ევროკავშირის განათლების აღმასრულებელი სააგენტოს Tempus-ის პროგრამის დირექტორი კლაუს ჰაუპტი და საქართველოში Tempus-ის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი ლიკა ღლონტი ესწრებოდნენ.

ᲠᲐ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ

მეორე გვერდიდან

შესახებ აგროვებენ ინფორმაციას, ვისაც თსუ-ის აკადემიური კონკურსების შედეგად შრომითი ხელშეკრულება შეუჩერდათ. მათ უკვე დახმარების თხოვნით 40-მდე პროფესორმა მიმართა, რომლებიც თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულ ფაკულტეტებზე კითხულობდნენ ლექციებს.

პოლიტიკური ნიშნით და უსამართლოდ გათავისუფლებულ პროფესორთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობაში ამ დროისთვის შედიან პროფესორები: ხათუნა ჩარკვიანი, ლელა გაფრინდაშვილი, თამარ კიკნაძე, გიორგი ყიფიანი, აველინა დავითულიანი, ნინი გვენეტაძე, მერაბ ტურავა, გოჩა მამულაშვილი, მარიამ ცაცანაშვილი, მაკა კვაჭაძე, ერეკლე ასტახიშვილი, ეკა ჩოხელი, რუსუდან სეთურიძე. ჯგუფში, ასევე, გაწევრიანდნენ სტუდენტური ორგანიზაციების „ნარინჯისფერთა კლუბის“ ერთერთი დამფუძნებელი ლევან ლორთქიფანიძე და „ლაბორატორია 1918“-ის წარმომადგენელი სანდრო ცაგარელი. პოლიტიკური ნიშნით და უსამართლოთ გათავისუფლებულ პროფესორთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს თსუ-ის ყოფილი პროფესორების მიერ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციებთანაც — „უნივერსიტეტელი“ და „სოლიდარობა“.

ახალი სახე

„ღელვა მალე ჩაანაცვლა სტუდენტებთან ურთიერთობის სასიამოვნო ფაქტორმა“

აკადემიური კონკურსების შედეგად, უნივერსიტეტმა ზოგი სრულიად ახალი კადრი მიიღო, ზოგ ზეც კონკურსანტებს შორის იმიტომ შეაჩერა არჩევანი, რომ მათი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა უფრო მაღალ რანგს იმსახურებდა. ერთერთი ასეთი ახალი სახეა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მაია ბითაძე, რომელიც 2005 წლიდან მომავალ იურისტებს ასისტენტ-პროფესორის რანგში ასწავლიდა. წელს იგი ასოცირებული პროფესორი გახდა და სასწავლო პროცესში სიახლეების დანერგვას გეგმავს.

მაია ბითაძემ 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

2004 წელს იგი მაძიებლად ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში, სადაც წარჩინებით ჩააბარა საგამოცდო მინიმუმებით გათვალისწინებული ყველა საგანი, მათ შორის სპეციალობა და უცხო ენები (რუსული ენა, ინგლისური ენა).

იურიდიულ ფაკულტეტ ზე დოქტორანტურის პროგრამის შემუშავებისა და დოქტორანტურის ჩამოყალიბების შემდეგ მაია ბითაძე უკვე დოქტორანტი გახდა და 2007 წელს დაიცვა დისერტაცია თემა ზე: „ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალ ზე“, რის შემდეგაც სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, მომზადებული და დაცული აქვს დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომი საერთაშორისო ეკოლოგიურ სამართალში.

ქალბატონ მაიასთან ჩვენი გასაუბრების მიზანი იმ სიახლეების გაზიარება იყო, რასაც იგი იურიდიულ ფაკულტეტ ზე ასოცირებული პროფესორის რანგში გეგმავს:

მაია ტორაძე

— ქალბატონო მაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორობა წარმატების გარდა, დიდი მოვალეობა და პასუხისმგებლობაცაა. რა გზა გაიარეთ მანამ, სანამ ამ რანგში გაუძღვებოდით სასწავლო კურსს?

— 2004 წლიდან ვმუშაობდი მოწვეულ პედაგოგად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტზე, სადაც ვკითხულობდი ეკოლოგიური სამართლის ზოგად და კერძო ნაწილს. 2005 წლიდან, ასისტენტ–პროფესორთა აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში (საჯარო სამართლის მიმართულებით) არაერთი გამარჯვების შემდეგ, სხვადასხვა პროფესორის ხელმძღვანელობით, ვუძღვებოდი სამუშაო ჯგუფების მუშაობას კონსტიტუციურ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საერთაშორისო საჯარო სამართალსა და საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალში. ამავე პერიოდში ვკითხულობდი საერთაშორისო საჯარო სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილის კურსს. ასევე, ამავე მიმართულებით ვუძღვებოდი სამუშაო ჯგუფებთან მუშაობას რუსულ ენაზე (უცხოენოვანი ჯგუფები).

2009 წლის საგაზაფხულო სემესტრში ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარვუდგინე ახალი სასწავლო პროგრამა საერთაშორისო ეკოლოგიურ სამართალში და, როგორც სამართლის დოქტორს, მომეცა ამ სალექციო კურსის ქართული და რუსული ჯგუფებისთვის წაკითხვის უფლება. მიმდინარე წელს გავიმარჯვე ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გამოცხადებულ ასოცირებულ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში საჯარო სამართლის მიმართულებით.

ამ წლების განმავლობაში თსუ-ში ჩემი წარმატებული საქმიანობის ერთერთი მთავარი ფაქტორი ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებელთა დიდი მხარდაჭერა იყო. განსაკუთრებული წვლილი ჩემ მიერ დანერგილი საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის სასწავლო კურსის განვითარებაში მიუძღვის ბატონ ლევან ალექსიძეს, რომელიც ჩემი სტუდენტობის და პედაგოგიური საქმიანობის განმავლობაში იყო და რჩება ჩემ მთავარ მენტორად. ამასთანავე, პროფესიულ სიამაყეს მგვრის ის ფაქტიც, რომ იმ სტუდენტთაგან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის კურსი, ბევრმა, სამართლის ამ დარგში, სწავლების შემდგომი საფეხური საზღვარგარეთ გააგრძელა. ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოში ამ ჯერ კიდევ განვითარებად სპეციალობაში, ჩემი ხელმძღვანელობით, სამაგისტრო ნაშრომი წარმატებით დაცული აქვს რამდენიმე სტუდენტს.

— იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარების მსურველთა უმეტესობა მიზნად სიმართლისთვის ბრძოლას და პრაქტიკულ მოღვაწეობას ასახელებს. თქვენ, როგორც ჩანს, თავიდანვე განსაზღვრეთ თქვენი მომავალი, რადგანაც სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა გადაგიწყვეტიათ. როდის გაჩნდა ეს აზრი თქვენს ცხოვრებაში, რამ გიბიძგათ მეცნიერებისკენ?

— 2004 წელს, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის შემდგომ, გადავწყვიტე სამეცნიერო მუშაობის დაწყება. ამას ხელი შეუწყო იმ გამოცდილებამ, რაც წლების განმავლობაში დავაგროვე საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტში, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის გარემოსდაცვით პროექტებში იურისტად მუშაობისას. ამ გამოცდილებამ გადამაწყვეტინა მუშაობა დამეწყო ისეთ საკითხებზე, რაც დღეისთვის ძალზე აქტუალურია, როგორც საქართველოსთვის, ასევე, გლობალური მასშტაბით. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დაწყებისთანავე გამიჩნდა საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის მიმართულებით მომავალი თაობების გაზრდის სურვილი. საბედნიეროდ, ჩემი პედაგოგების დახმარებით, სურვილის განხორციელება სამართლის დოქტორის ხარისხის მოპოვებამდე ავისრულე.

— თუ გახსოვთ თქვენი პირველი ლექცია? რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— ეს იყო 2004 წლის შემოდგომის სემესტრში იმ დროისათვის არსებულ თსუ-ის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტზე. ის დღე ძალიან კარგად მახსოვს. მახსოვს ის ღელვა, რაც ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, ამჯერად, როგორც პედაგოგს, დამეუფლა. თუმცა, ღელვა, მალე ჩაანაცვლა სტუდენტებთან ურთიერთობის სასიამოვნო ფაქტორმა, რაც იმ მომენტიდან დღემდე უწყვეტად სდევს ჩემ პედაგოგიურ საქმიანობას. განსაკუთრებულ სიხარულს მგვრის ის ფაქტი, რომ ბევრი იმ სტუდენტთა შორის, რომლებიც პირველ დღეს გაგებით და ინტერესით მიუდგნენ ახალ სალექციო კურსს, დღეს წარმატებული ადამიანები არიან.

ამჯერად ვკითხულობ სალექციო კურსს საერთაშორისო ეკოლოგიურ სამართალში და ვუძღვები სამ სამუშაო ჯგუფს ამავე საგანში.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად არის დღეს უნივერსიტეტში მაღალი ხარისხის განათლების მიღების წინაპირობები? იძლევა თუ არა დღევანდელი სასწავლო პროგრამები კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადების საშუალებას?

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სტუდენტობისას ძალიან გამოცდილი და კვალიფიციური პედაგოგები გვყავდა, დღეს უნივერსიტეტში სწავლა გაცილებით მეტი წარმატების მიღწევის საშუალებას იძლევა. განვითარდა სწავლების მეთოდიკა და ხელმისაწვდომობა ისეთ მასალებზე (თუნდაც ინტერნეტის გამოყენებით), რაც ჩემი სტუდენტობისას სრულიად წარმოუდგენელი იყო. სწავლების პერიოდში აქტიურად გამოიყენება პრაქტიკული სამუშაოების თანამედროვე მეთოდები, რაც სტუდენტებს მომავალი საქმიანობისას აუცილებლად გამოადგებათ.

— რა სიახლეების დანერგვას აპირებთ, როგორც ასოცირებული პროფესორი?

— დიდი სურვილი მაქვს, უფრო მეტი გავაკეთო საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის საგნის პოპულარიზაციისთვის, მათ შორის, სამართლის კლინიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ამჟამად, პარალელურად ვარ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი და დიდი სურვილი მაქვს, კლინიკის ფარგლებში სტუდენტები სწორედ გარემოს დაცვის სამინისტროს ყოველდღიურ სამართალშემოქმედებით საქმიანობაში ჩაერთონ. მინდა, ისინი გაეცნონ ეროვნული კანონმდებლობისა და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ხარისხსა და დააკვირდნენ სასამართლოთა ურთიერთობის პრაქტიკას ამ მიმართულებით.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ საგნის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება. 2009 წლის შემდეგ საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი იკითხება, როგორც არჩევით, ასევე, სავალდებულო საგნად. იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც ამ საგანს ირჩევენ 25-დან 105 სტუდენტამდე გაიზარდა.

— თქვენი აზრით, რა დონეზეა უნივერსიტეტში სამართლის სწავლება? რა არის იმისთვის საჭირო, რომ ეს დონე კიდევ უფრო ამაღლდეს და თსუ-ში იურიდიული განათლების მიღება უტოლდებოდეს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების დონეს?

— იმდენად, რამდენადაც, გამოცდილება მაქვს სხვა სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობისა, ვფიქრობ, თსუ-ში სამართლის სწავლების დონე საუკეთესოა. ერთადერთი, რასაც ვისურვებდი, ესაა საერთაშორისო ეკოლოგიურ სამართალში მეტი სასწავლო მასალის თარგმნა და შემუშავება ქართულ ენაზე.

კონფერენცია

მედიაციის განვითარების თანამედროვე პერსპექტივები

ნატო ოგოლაძე

ამ დროისთვის საქართველოში დავების მოგვარების ერთერთი მეთოდის, მედიაციის ინსტიტუტის დანერგვის პროცესი მიმდინარეობს. მედიაციის დროს, მოდავე მხარეებს მედიატორი ერთმანეთისთვის მისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. ეს პროცესი კონფიდენციალურია და სასამართლოსთან შედარებით ნაკლებ ხარჯებსაც მოითხოვს. მედიატორები საკუთრებასთან, მცირე ბიზნესთან, თემთან და ოჯახებთან დაკავშირებულ კონფლიქტებზე მუშაობენ. საქართველოში მედიაციის დანერგვის პროცესში აკადემიური სფეროს წარმომადგენლებიც აქტიურად არიან ჩართულები. ადგილობრივ სამართლებრივ სისტემაში ახალი ინსტიტუტის ამუშავების მიზნით, ქართველი პროფესორები უცხოელ კოლეგებთანაც თანამშრომლობენ. მედიაციის სფეროში მათი გამოცდილებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით, 6 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მედიაციის განვითარების თანამედროვე პერსპექტივები“ გაიმართა. ღონისძიება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალურმა ცენტრმა თსუ-ის, სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლის, კორპორაცია „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ და მისი პროგრამის „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი საქართველოში“ საერთო ინიციატივისა და მათ შორის ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე გაიმართა.

კონფერენციაზე მოხსენებები მედიაციის სფეროში აღიარებულმა პროფესორებმა და პრაქტიკოსებმა წარმოადგინეს, მათ შორის იყვნენ: ტოდ ნიკოლი (პეპერდაინის სამართლის სკოლა, სტრაუსის დავის გადაწყვეტის ცენტრი, აშშ); ალეს ზალარი (დავის გადაწყვეტის ევროპული ცენტრი, სლოვენიის ყოფილი იუსტიციის მინისტრი, სლოვენია); სტეფანი ბელი (პეპერდაინის სამართლის სკოლა, სტრაუსის დავის გადაწყვეტის ცენტრი, აშშ); კრიტოფ ბერლინი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, გერმანია); ჰარტმუტ კანვიშერი (კაიზერსლაუტერნის უნივერსიტეტი, გერმანია); მიქაელ ცური (მედიაციისა და დაცვის გადაწყვეტის იერუსალიმის ცენტრი, ებრეუს უნივერსიტეტი, ისრაელი): კიმბერლი კოვაკი (სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, ფრანკ ევანსის დავების გადაწყვეტის ცენტრი, აშშ), ელიზაბეტ დენისი (სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ); მოხსენებები წარმოადგინეს ქართველმა სპეციალისტებმაც: ალექსანდრე წულაძემ (იუსტიციის სამინისტრო), ირაკლი ყანდაშვილმა (ადვოკატი, მედიატორი) და გიორგი ჩალაძემ (პეპერდაინის ელჩი, მედიაციისა და არბიტრაჟის ექსპერტი).

„საქართველომ გადაწყვიტა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომ ამ ეტაპზე სასამართლო სავალდებულო მედიაცია პილოტირებულ რეჟიმში უნდა განხორციელდეს, რომელიც საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო დავებზე და კიდევ გარკვეულ კატეგორიებზე გავრცელდება. მედიაცია ინტერდისციპლინარულ სფეროს მოიცავს და იურისტების გარდა მედიატორობის შესაძლებლობა სოც-მუშაკებს, ფსიქოლოგებს, ექიმებს აქვთ. არის ქვეყნები, სადაც მედიაციის პროცესის წარმართვა მხოლოდ იურისტებს შეუძლიათ, მაგრამ, ასევე, არის ქვეყნები, სადაც ეს შეზღუდვა არ მოქმედებს. საქართველოშიც გვინდა, რომ მედიატორად ყოფნა ნებისმიერი პროფესიის ადამიანს შეეძლოს.

საერთაშორისო კონფერენციის მთავარი მიზანი იყო, რომ ჩვენ გაგვეზიარებინა საერთაშორისო გამოცდილება და მოგვეპოვებინა მათგან ინფორმაცია. საბოლოო ჯამში კი ჩვენი გადასაწყვეტია მედიაციის რა ინსტიტუციონალურ სისტემაზე გაამახვილებს საქართველო ყურადღებას, ამიტომ აუცილებელია, სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად გაანალიზება და დისკუსია მედიაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე: უნდა მივიღოთ კანონი მედიაციის შესახებ, თუ თვითრეგულირებადი იყოს ეს დამოკიდებულება და ა.შ. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალურმა ცენტრის ფარგლებში ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა კანონპროექტზე. ამ ეტაპზე ვაკეთებთ კვლევას, რომელზეც ეს კანონპროექტი იქნება გაზიარებული. პროცესს რამდენიმე თვე დასჭირდება, რის შემდეგაც კანონპროექტს საზოგადოებას წარვუდგენთ და ვიმსჯელებთ რა პრინციპებს უნდა ემორჩილებოდეს მედიატორი, როგორ მოწესრიგდეს ეს სისტემა და ა.შ. სასამართლო მედიაციის პილოტე პროგრამა შემოდგომაზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა არჩევნებთან დაკავშირებული პროცესების გამო, დროებით გადაიდო“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

საერთაშორისო კონფერენცია „მედიაციის განვითარების თანამედროვე პერსპექტივები“ 8 ნოემბერს დასრულდა. იგი „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, თსუ-ის, „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის“ და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ მხარდაჭერით გაიმართა. ღონისძიებაზე მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რის მიხედვითაც, საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის დანერგვის პროცესების გაანალიზების მიზნით, საერთაშორისო კონფერენცია თსუ-ში ყოველი წლის ბოლოს მოეწყობა.

მაქს-პლანკის ინსტიტუტის პროექტის შემაჯამებელი სამეცნიერო კონფერენცია

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე საერთაშორისო კონფერენცია „კერძო სამართლის განვითარება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ტრანსფორმაცია სამართლის ტრანსპლანტაციის მეშვეობით“ გაიმართა. კონფერენციაზე შეჯამდა ჰამბურგის მაქს-პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში განხორციელებული სამ წლიანი პროექტი „შედარებით-სამართლებრივი კვლევები კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში“, რომელიც მიზნად ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში სამართლებრივი ტრანსპლანტების შესწავლას ისახავდა. პროექტში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მეცნიერები საქართველოდან, ყაზახეთიდან და უზბეკეთიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიდან აღნიშნულ პროექტში ჩართულები იყვნენ ასოცირებული პროფესორები: თამარ ზარანდია და გიორგი ცერცვაძე, ქეთევან გიორგიშვილი. მათ მუშაობას ჰამბურგის მაქს-პლანკის ინსტიტუტის განყოფილების უფროსი ქალბატონი ევგენია კურცინსკი-სინგერი ხელმძღვანელობდა. პროექტი „შედარებით-სამართლებრივი კვლევები კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში“ მრავალგზის საპატიო დოქტორის პროფესორ იურგენ ბაზედოვის პატრონაჟით განხორციელდა.

„სამართლის რეცეფციას არ შეიძლება მოყვეს მთლიანი სამართლებრივი კონტექსტის რეცეფცია, რადგან სამართლის ნორმა არსებობს გარკვეული სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში. სამართლებრივი რეგულაციები არის კონკრეტული მომენტის რეგულაციები და რაში გადაიზრდება ეს რეცეფციის შემდეგ, არავინ იცის. მართალია, ჩვენ განვახორციელეთ გერმანული კერძო სამართლის შემოქმედებითი რეცეფცია, მაგრამ რეცეფცირებული ნორმა ადგილობრივ მართლწესრიგს უნდა მოერგოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამართალი არ არის მხოლოდ კანონშემოქმედების პროდუქტი, ის ასევე არის იურიდიული განათლების პროდუქტი, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ შედარებით-სამართლებრივი კვლევების განხორციელებაში სწორედ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები იყვნენ ჩართულები, რათა სტუდენტების განათლებას სწორი მიმართულება მისცენ.

თსუ-ში გამართული საერთაშორისო კონფერენცია უცხოელმა კოლეგებმა დადებითად შეაფასეს და დაიგეგმა მომდევნო შეხვედრები. დაიგეგმა ასევე მორიგი საერთაშორისო კონფერენციაც, რომელსაც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი კვლავ ჰამბურგის მაქს-პლანკის ინსტიტუტთან პარტნიორობით 2014 წელს გამართავს. მაქს-პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტი ელიტარული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა გერმანიაში და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მათთან თანამშრომლობა“, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ თამარ ზარანდიამ.

შემაჯამებელ სამეცნიერო ღონისძიებაზე მოხსენებები საქართველოს, გერმანიის და შუა აზიის ქვეყნების ცნობილმა პროფესორებმა წარმოადგინეს. მათ შორის იყვნენ: იურგენ ბაზედოვი — „კერძო სამართლის ევროპეიზაცია“; ლადო ჭანტურია — „კერძო სამართლის განვითარების ტენდენცია კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში“; ბესარიონ ზოიძე — „გერმანიის სამოქალაქო სამართლის რეცენზია საქართველოში“; სვეტლანა მოროზი — „სამოქალაქო სამართლის განვითარება ყაზახისტანში“; ირაკლი ბურდული — „გერმანული და ამერიკული კორპორატიული სამართლის რეცენზია საქართველოში“ და ა.შ.

კონფერენციაზე სამი თემატური სექცია მუშაობდა — სამოქალაქო სამართლის რეფორმა — „legal transplants“-ის მიხედვით, სამოქალაქო სამართლის რეფორმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სივრცეში და შედარებითი სამართლებრივი კვლევები ევრაზიის სამართალში. ღონისძიების მსვლელობისას ჰამბურგის მაქს-პლანკის ინსტიტუტის დირექტორს იურგენ ბაზედოვს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდებაც მიანიჭეს.

„კონფერენციამ სრულად ნათელყო, რომ არსებობს დიდი და საყურადღებო მნიშვნელობის ისეთი კონკრეტული პრობლემები საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, რასთან დაკავშირებითაც მგონია, რომ გერმანელ მეცნიერ-იურისტებს შესწევთ ძალა, დახმარების ხელი გამოუწოდონ ქართველ კოლეგებს სულ მცირე აუცილებელი და საჭირო კუთხით მაინც. ერთერთი მიმართულების იდენტიფიცირება, ვფიქრობ, საკმაოდ მკაფიოდ მოხდა ჩვენი შეხვედრისას: საკორპორაციო სამართალი და კონკურენციის სამართალი ჩვენი მომდევნო კონფერენციის ძირითადი თემა შეიძლება იყოს.

სახელმწიფომ, იმ დაწესებულებებმა, რომლებიც ქმნიან სამართალს, ძალზე ყურადღებით უნდა მოუსმინონ აკადემიის წარმომადგენლებს, რადგან სამართლის ამ მკვლევარებს, მეცნიერებს გაცილებით ფართო ჰორიზონტი აქვთ და გაცილებით მეტის თქმა შეუძლიათ იმის შესახებ, თუ საიდან და რისგან წარმოდგება ესა თუ ის სამართალი და რა მნიშვნელობა აქვს მას უცხო ქვეყნებში და სხვა... დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ სახელმწიფო არ მოისმენდა, ზოგადად რას ამბობენ აკადემიის წარმომადგენლები“, — განაცხადა იურგენ ბაზედოვმა.

საერთაშორისო კონფერენცია „კერძო სამართლის განვითარება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ტრანსფორმაცია სამართლის ტრანსპლანტაციის მეშვეობით“ ფოლკსვაგენის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. კონფერენცია თსუ-ში 18 ოქტომბერს გაიხსნა და ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

შვედეთ-კავკასიის თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში

ნატო ოგოლაძე

შვედეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, უმაღლესი განათლების სფეროში ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო საინფორმაციო სემინარი მოეწყო. სემინარს „შვედეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში“ საქართველოდან — 21, აზერბაიჯანიდან — 15, შვედეთიდან კი 17 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიება გაცნობითი ხასიათის იყო, რის შემდეგაც მხარეები სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში ევროკავშირის ქვეყნებსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მოქმედ პროგრამებში — „ტემპუსი“, „ერაზმუს მუნდუსი“ და „ლინეუს-პალმე“ ერთობლივად ჩაერთვებიან.

„ჩვენი მიზანია ორმხრივი კონტაქტების ჩამოყალიბება სხვადასხვა დონორი პროგრამებისთვის. საქმე ეხება პროექტებს, რომლებიც ისახავს მიზნად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში უმაღლესი განათლების რეფორმირებას“, — განაცხადა შვედეთის უმაღლესი განათლების სააგენტოს ექსპერტმა რებეკა ჰერდევალმა.

„ტემპუსის, ერაზმუს მუნდუსისა და ლინეუს-პალმეს პროგრამების ამოცანა პროფესორებისა და სტუდენტების გაცვლითი და ახალი აკადემიური პროგრამების შემუშავება გახლავთ. სემინარის მონაწილეები უშუალოდ გაერკვევიან თუ რა საჭიროებები აქვთ პროექტში ჩართულ უმაღლეს სასწავლებლებს და კონკურსისთვის ერთობლივად შეიმუშავებენ ახალ საპროექტო განაცხადებს,“ — აღნიშნა ტემპუსის ეროვნული ოფისის კოორდინატორმა ლიკა ღლონტმა.

საერთაშორისო საინფორმაციო სემინარის „შვედეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში“ შემდეგ საქართველოსა და შვედეთის უნივერსიტეტები კონსორციუმის შექმნასა და ტემპუსის, ერაზმუს მუნდუსისა და ლინეუს-პალმეს პროგრამების საგრანტო კონკურსებში მონაწილეობას გეგმავენ. საგრანტო კონკურსი მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გამოცხადდება.

„საერთაშორისო საინფორმაციო სემინარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და აზერბაიჯანის უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს შვედეთის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებთან კონტაქტები დაამყარონ. ჩვენ შვედ კოლეგებს გავაცნობთ თუ რას წარმოადგენს ჩემი უნივერსიტეტი. ვფიქრობ, ეს შეხვედრა მომავალში ხელს შეუწყობს ქართული უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციას, საქართველოში სწავლისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას“, — გვითხრა თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა ირინე დარჩიამ.

საერთაშორისო საინფორმაციო სემინარი „შვედეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 ოქტომბერს დაიწყო და ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ღონისძიებას ორგანიზება შვედურმა ორგანიზაციამ „the International Programme Office for Education and Training“ და ტემპუსის ეროვნულმა ოფისმა გაუწია. სემინარი თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გახსნა.

კ ო მ უ ნ ი კ ე

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტი

განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კომისიის მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფმა განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელის გია დვალის, ზაზა კოკაიას, ვაჟა ბერეჟიანისა და დავით ლორთქიფანიძის მონაწილეობით წარმოადგინეს რეფორმის კონცეფციის პროექტი. მეცნიერები დაინტერესებულნი არიან — როგორ შეაფასებს საუნივერსიტეტო საზოგადოება გაზეთში გამოქვეყნებულ კომუნიკეს.

I. შესავალი

რეფორმა მოიცავს უმაღლესი (საუნივერსიტეტო) და სასკოლო განათლების სფეროებს, ასევე, არასაუნივერსიტეტო (მაგალითად, საინსტიტუტო და ლაბორატორიული) მეცნიერული კვლევის სფეროს. მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი კონცეფციები ცალ-ცალკე იქნება განხილული.

ამ შესავალი ნაწილის მიზანია საუნივერსიტეტო და საინსტიტუტო განათლებისა და მეცნიერების რეფორმების კონცეფციების მოკლე შეჯამება. სასკოლო რეფორმის კონცეფცია დეტალურად ცალკე იქნება განხილული და წარმოდგენილი იქნება დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით.

ქვემოთ სკოლის რეფორმის ცალკეული მხარეები ძალიან მოკლედ იქნება ნახსენები მხოლოდ და მხოლოდ მათი საუნივერსიტეტო და საინსტიტუტო რეფორმასთან მიმართებაში.

ვინაიდან ქვემოთ განხილული კონცეფციები უნივერსალურ ხასიათს ატარებს და ერთიანად მნიშვნელოვანია ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, მათი კონკრეტული სპეციფიკის მიუხედავად, ტექსტში უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა მოხსენიებული იქნება ერთიანი დასახელებით, როგორც „უნივერსიტეტი“ ან „აკადემია“.

ანალოგიურად, საშუალო და დაწყებითი განათლების სასწავლო დაწესებულებები მოხსენიებული იქნება, როგორც „სკოლა“.

პროექტის მიზანია აკადემიური სისტემის ფუნდამენტური რეფორმა იმ კონცეფციებზე დაფუძნებით, რომლებიც დიდი ხანია მსოფლიო სტანდარტს წარმოადგენს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არ დანერგილა საქართველოში.

საუნივერსიტეტო-სამეცნიერო სისტემაში ეს კონცეფცია მოიცავს აკადემიური თავისუფლების, აკადემიური მიუკერძოებლობის და აკადემიური ხარისხის ცნებებს, რომლებიც ეფუძნება ეგრეთ წოდებული ტენუარის (tenure) სისტემას და, ამავდროულად, მეცნიერული კვლევების მოწყობის ეგრეთ წოდებულ ჰარნაკის პრინციპს (Harnack principle).

მეცნიერული საზოგადოება ეს არის თვითრეგულირებადი და შესაბამისად თვითმმართვადი ორგანიზმი, რომლისთვისაც ყველანაირი ზემოდან მოხვეული დიქტატი დამღუპველია. მეცნიერული ხარისხის კონტროლი ხორციელდება თანასწორუფლებიან კოლეგათა მიუკერძოებელი ურთიერთ შეფასების (Peer Review) გზით და არა რომელიმე პრივილეგირებული ჯგუფის შეხედულების მიხედვით.

მთელი შემდგომი თხრობა მიეძღვნება ამ ცნებების დეტალურ განმარტებას და რეფორმაში მათი გადამწყვეტი როლის ახსნას. ტენუარის სისტემაში პროფესორ-მასწავლებლების გარკვეული (ყველაზე წარმატებული) ნაწილი ღებულობს ტენუარის სტატუსს, რაც მათთვის და მთელი დანარჩენი აკადემიური პერსონალისთვის ხდება სტბილურობის, აკადემიური თავისუფლების და ხარისხის კონტროლის გარანტი. ეს სისტემა ავტომატურად აფუძნებს აკადემიურ თვითმმართველობას და, შესაბამისად, წარმოადგენს ავტონომიურობისა და დეცენტრალიზაციის მექანიზმს.

უნივერსიტეტთან ან მისგან დამოუკიდებლად არსებულ საინსტიტუტო-კვლევით მეცნიერულ სისტემაში მოქმედებს აკადემიური თავისუფლების და ტენუარის საერთო პრინციპი. სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავება დეტალებშია და ახსნილი იქნება მოგვიანებით.

უნივერსიტეტთან ან მისგან დამოუკიდებლად არსებული მეცნიერული კვლევის მოწყობის ამოსავალი კონცეფცია არის ჰარნაკის პრინციპი.

ამ პრინციპის არსი არის ის, რომ სამეცნიერო ინსტიტუტები წარჩინებული მკვლევარების გარშემო აწყობილი სტრუქტურებია. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ინსტიტუტის მთავარი დანიშნულებაა ემსახურებოდეს მკვლევარის სამეცნიერო მიზნებს.

შესაბამისად, ორივე სისტემის ფუნქციონირება დაფუძნებულია სამ აუცილებელ მუდმივმოქმედ მართვის რგოლზე. ესენია: 1) ტენუირებულ პროფესორ-მკვლევართა კრება, რომელიც ძირითადი თვითმმართველი ორგანოა; 2) უნივერსიტეტის ან ინსტიტუტის უმაღლესი ადმინისტრაცია (პრეზიდენტის ოფისი ან მისი ექვივალენტი); 3) გარეშე რწმუნებულთა ან მრჩეველთა საბჭო. ამ სამი რგოლის არსებობა არის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის გარანტი.

სასკოლო სისტემის რეფორმის კონცეფციის საფუძველი არის უწყვეტობის (no-gap) პრინციპი, რომლის არსია სასკოლო განათლების სრულ შესაბამისობაში მოყვანა საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის იმის გარანტია, რომ სკოლამ სრულყოფილად მოამზადოს მოსწავლე უნივერსიტეტისთვის ისე, რომ სკოლის გამოსაშვები და უნივერსიტეტში მისაღები ცოდნის დონეებს შორის არ რჩებოდეს სიცარიელე, რომლის შევსებაც გარეშე რგოლის, რეპეტიტორის ან ტუტორის ხარჯზე მოხდება.

ამ უწყვეტობის მისაღწევად უნდა მოხდეს სკოლების მინიმალური დონის სტანდარტიზაცია, რაც გულისხმობს, რომ არც ერთი სკოლა არ უნდა დაეშვას მოსწავლეთათვის მიცემული ცოდნის მინიმალური სტანდარტის ქვემოთ. ეს სტანდარტიზაცია ღონისძიებათა მთელ კომპლექსს მოითხოვს; მათ შორის: სასწავლო პროგრამის და სახელმძღვანელოების სტანდარტიზაციას და სინქრონიზაციას, მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ გადამზადებას და მათ რიგებში ახალი კადრების მოზიდვას, - რისი უზრუნველყოფაც მასწავლებლებისთვის სამუშაო პირობების მკვეთრი გაუმჯობესების და მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ზრდის ხარჯზე უნდა ხდებოდეს. ამას ასევე ხელს შეუწყობს სკოლებში ტენუარის ანალოგიური სისტემის დანერგვა.

ქვემოთ ეს კონცეფციები უფრო დეტალურადაა განხილული.

II. საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფცია და ძირითადი პრინციპები

აკადემიის მისია არის ცოდნის მოპოვება და გავრცელება. ამის შედეგია აკადემიის ჩამოყალიბება თავისუფალი და შემოქმედებითი აზროვნების კერად.

ამრიგად, ძლიერი აკადემია ბუნებრივად ასრულებს ორ ფუნქციას:

1) უზრუნველყოფს პროფესიონალიზმს და მაღალი დონის განათლებას;

2) წარმოადგენს ჯანსაღი და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების საყრდენს.

ცოდნის მოპოვებისა და გავრცელების მაქსიმალური ეფექტიანობა მოითხოვს, რომ უნივერსიტეტი იყოს არამარტო საგანმანათლებლო, არამედ, ამავდროულად, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ასეთ სისტემას რამდენიმე უპირატესობა აქვს:

ა) სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა შეუდარებლად ზრდის პროფესორ-მასწავლებლების პროფესიულ ხარისხს;

ბ) სტუდენტი ცოდნას იღებს პირდაპირ აქტიური მკვლევარისგან, ანუ ახალი ცოდნის შექმნის პროცესში უშუალოდ მონაწილე პირისგან;

გ) სტუდენტს საშუალება აქვს, თავად ჩაერთოს სამეცნიერო კვლევაში საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესრულებით.

ამის შესაბამისად, მაღალი დონის უნივერსიტეტი მაღალი დონის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის არსებობას მოითხოვს.

წარმატებული აკადემიური სისტემა სამ ამოსავალ პრინციპზეა დაფუძნებული:

1) აკადემიური თავისუფლება;

2) აკადემიური მიუკერძოებლობა;

3) აკადემიური ხარისხი.

მარტივად რომ ვთქვათ, აკადემიურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რომ პროფესორ-მასწავლებელი იყოს თავისუფალი შემოქმედი პიროვნება, რომელსაც ვერავინ დააშინებს ან მოისყიდის და რომელიც მოტივირებულია, ჰქონდეს მაღალი აკადემიური ხარისხი.

ამ სამი კონცეფციის საყრდენ და დამცავ მექანიზმს წარმოადგენს ტენუარის (tenure) ინსტიტუტი (ანუ ტენუარის სისტემა).

საუნივერსიტეტო მოწყობის ეს სისტემა დიდი ხანია მოწინავე მსოფლიო სტანდარტია, მაგრამ დღემდე არ დანერგილა საქართველოში.

ქვემოთ ჩვენ ჯერ უფრო ვრცლად განვმარტავთ თითოეული კონცეფციის მნიშვნელობას და შემდეგ აღვწერთ ტენუარის სისტემის როლს ამ კონცეფციების გატარებაში, აგრეთვე, მისი მოქმედების მექანიზმს.

1. აკადემიური თავისუფლება

ეს კონცეფცია თანამედროვე უნივერსიტეტის მოწყობის ერთერთი უმთავრესი პრინციპია. იგი აუცილებელია, ერთი მხრივ, მაღალი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ხარისხის მისაღწევად და, მეორე მხრივ, იმისთვის, რომ უნივერსიტეტი წონასწორობაში იყოს დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებასთან.

აკადემიური თავისუფლება აუცილებელია, რათა აკადემიამ თავისი მისია შეასრულოს. ამ კონცეფციის ძირითადი აზრი ისაა, რომ პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს მინიჭებული აქვთ სრული თავისუფლება — ასწავლონ და გაავრცელონ იდეები მათი მეცნიერული მრწამსის შესაბამისად, იმის მიუხედავად, ეწინააღმდეგება თუ არა მათი იდეები ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების თუ მმართველი წრეების ინტერესებს. აკადემიური მოღვაწეობა მათ არ უნდა უქმნიდეს სამუშაოს დაკარგვის, ან რაიმე პიროვნული თუ პროფესიული რეპრესიების საფრთხეს.

კერძოდ, ეს კონცეფცია გულისხმობს დამფინანსებლის (მაგალითად, სახელმწიფოს

მე-8 გვერდზე

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტი

მეშვიდე გვერდიდან

ან ცალკეული ორგანიზაციის თუ კერძო პირის) ჩაურევლობას აკადემიურ საქმიანობაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

2. აკადემიური მიუკერძოებლობა

აკადემიური მიუკერძოებლობა გულისხმობს, რომ პროფესორი აკადემიურ საქმიანობაში ყველაზე წინ აყენებს თავის მეცნიერულ ხედვას და პროფესიულ მოვალეობას. "აკადემიური საქმიანობა" გულისხმობს მოღვაწეობის ყველა სფეროს, რომელიც ეყრდნობა პროფესიონალურ ექსპერტიზას, — იქნება ეს საექსპერტო დასკვნის მომზადება რაიმე საკითხზე (მაგალითად, რომელიმე სამედიცინო პრეპარატის ვარგისიანობა ფართო მოხმარებისთვის ან სამეცნიერო გრანტის აპლიკაციის ხარისხის დონის დადგენა) თუ სტუდენტის ცოდნის ან ნაშრომის შეფასება. ასეთ დროს არანაირმა პირადმა, მატერიალურმა, რელიგიურმა, ეთნიკურმა, სქესობრივმა თუ პოლიტიკურმა ფაქტორმა არ უნდა იქონიოს გავლენა შედეგზე. აკადემიური მიუკერძოებლობა პირდაპირ გამორიცხავს კორუფციას.

3. აკადემიური ხარისხი

აკადემიური ხარისხი გულისხმობს, რომ უნივერსიტეტის მთავარი საზრუნავი არის მაღალი ხარისხის პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა და მათი შენარჩუნება, სათანადო აკადემიური და მატერიალური პირობების შექმნის გზით.

III. ტენუარის სისტემა

უნივერსიტეტის მოწყობის ამოსავალი პრინციპი არის ტენუარის სისტემა (ტენუარის ინსტიტუტი).

ამ კონცეფციის თანახმად, უნივერსიტეტის თვითმმართველ ბირთვს წარმოადგენს მუდმივი პოზიციის (თანმდებობის) მქონე პროფესორთა კონტინგენტი, ანუ ეგრეთ წოდებული ტენურირებული პროფესორები (tenured faculty) და ასევე ის პროფესორები, რომლებიც ტენუარის სტატუსის მიღების კანდიდატები არიან, ანუ ეგრეთ წოდებული ტენუარის გზაზე (tenure-track) მყოფი პროფესორები. ტენურირებული და ტენუარის გზაზე მყოფი პროფესორები შეადგენენ აკადემიური პერსონალის მხოლოდ ერთ (ყველაზე წარჩინებულ) ნაწილს, მაგრამ ისინი ქმნიან მთელი აკადემიური სიტემის სტაბილურობის და ეფექტურობის გარანტიას.

ტენუარის ცნება არ უნდა იყოს გაგებული, როგორც უბრალოდ მუდმივი კონტრაქტი.

ტენუარი ეს თვისებრივად გაცილებით ღრმა კონცეფციაა და გულისხმობს განსაკუთრებულ სტატუსს, რომელიც მთელი უნივერსიტეტის საყრდენია და იძლევა სტაბილურობის გარანტიას.

ტენურირებულ პოზიციაზე პროფესორის აყვანა შეიძლება მოხდეს როგორც პირდაპირ, ასევე, გარკვეული საცდელი ვადის შემდეგ.

ტენუარ პოზიციაზე პირდაპირი აყვანა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული პროფესორის პროფესიული და პედაგოგიური ხარისხის და დამსახურების შესაბამისობა ასეთ სტატუსთან ეჭვგარეშეა და დადასტურებულია შესაბამისი წესით (იხ. ქვემოთ).

წინააღმდეგ შემთხვევაში, ტენუარ პროფესორის თანამდებობაზე მიღება ხდება საცდელი (5-7 წლის) ვადით. ასეთ შემთხვევაში პოზიცია წარმოადგენს გზას ტენუარისკენ (tenure-track). როგორც წესი, ასეთი საწყისი პოზიცია არის ასისტენტ პროფესორის დონეზე.

ორივე შემთხვევაში (პირდაპირ ტენურირებული ან ტენუარის გზაზე მყოფი) პროფესორის თანამდებობაზე მიღება უაღრესად ფრთხილი და კრიტიკული შერჩევის შედეგად ხდება. კანდიდატების შერჩევას აწარმოებს ამისთვის სპეციალურად შექმნილი მიუკერძოებელი კომიტეტი, რომელიც კანდიდატების შეფასებაში ეყრდნობა როგორც საკუთარ ექსპერტიზას, ასევე გარეშე რეფერირების სისტემას.

ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ხდება მსოფლიო მასშტაბით შერჩეულ, მოცემულ დარგში მოღვაწე და წარჩინებულ მეცნიერთა გარკვეული რაოდენობის კონფიდენციური გამოკითხვა. მათ წერილობით უნდა დაახასიათონ კანდიდატები, შეადარონ ისინი ერთმანეთს და ამავე დარგში მოღვაწე სხვა მეცნიერებს. ამგვარად ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად, ხდება კანდიდატთა გაცხრილვა და იქმნება მათი მოკლე სია. მთელი ეს მასალა კომიტეტის მიერ წარედგინება სრულიად დეპარტამენტის (ან ფაკულტეტის) ტენურირებული პროფესორების კრებას. ამის შემდეგ იწყება მსჯელობა და საუკეთესო კანდიდატი კენჭისყრით შეირჩევა.

იმ შემთხვევაში, როცა საწყისი პოზიცია ტენუარის გზაა, შემდგომი წინსვლა ტენუარისკენ შემდეგნაირად ხდება: საცდელი ვადის განმავლობაში უნდა დადგინდეს, თუ რამდენად პროგრესირებს კანდიდატი ტენუარის მიმართულებით. ამ მიზნით იქმნება ეგრეთ წოდებული ტენუარის შეფასების კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია ტენურირებული პროფესორებით (დაახლოებით 3 წევრი) და რომელსაც ირჩევს დეპარტამენტის (ან ფაკულტეტის) ტენურირებული პროფესორების კრება (იხ ქვემოთ). კომიტეტი სწავლობს საკითხს, აგროვებს რეცენზიებს გარეშე რეფერირების მეთოდით (ითხოვს კანდიდატის წერილობით შეფასებას შესაბამისი დარგის მსოფლიო ექსპერტებისგან) და, ასევე, შინაგანი გამოკითხვით (მაგალითად, კანდიდატის მოღვაწეობის (ანონიმური?) შეფასება სტუდენტების და კოლეგების მიერ). შემდეგ ამ მასალებს შესაბამისი რეკომენდაციით წარუდგენს ზემოხსენებულ ტენურირებული პროფესურის კრებას.

კრება, სათანადო მსჯელობის შემდეგ, კენჭისყრის საფუძველზე ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელიც ეგზავნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (რომელიც, კონკრეტული საუნივერსიტეტო სტრუქტურიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს დეკანატი) და ასევე უნივერსიტეტის ცენტრალურ ტენუარების კომიტეტს, რომელიც პირველადი კომიტეტის ანალოგიურია, მაგრამ დაკომპლექტებულია უფრო ფართო დარგების წარმომადგენელი პროფესურით, რომლებიც უშუალოდ კანდიდატის დარგში არ მოღვაწეობენ. განხილვის ამ ეტაპზე შეიძლება დამატებითი მასალები იქნას მოთხოვნილი და დამატებითი კვლევა ჩატარდეს. საბოლოო დადებითი პასუხის შემთხვევაში, კანდიდატს ენიჭება ტენუარის სტატუსი მოცემული უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ადმინისტრაციული წესით.

ტენუარის გზაზე შეფასების პირველი ეტაპი (ანუ დეპარტამენტის შიგნით განხილვა) შეიძლება ორჯერ მოხდეს, მაგალითად მე-3 და მე-5 წელს. პირველადი შეფასება აჯამებს, რამდენად კარგად პროგრესირებს კანდიდატი ტენუარის სტატუსისკენ და წერს რეკომენდაციას. ამ რეკომენდაციის საფუძველზე კრებამ შეიძლება ჩათვალოს, რომ პროგრესი არასაკმარისია და, ეთიკის ნორმების სრული დაცვით, სათანადო რჩევა მისცეს კანდიდატს, თუ როგორ გააუმჯობესოს სიტუაცია, ან ჩათვალოს, რომ პროგრესი აშკარაა და რეკომენდაცია გაუწიოს ტენუარის სტატუსის დაჩქარებული მინიჭებისთვის.

შედეგის მიუხედავად, მიღებული გადაწყვეტილება კანდიდატს უნდა ეცნობოს. ამ ეტაპზე მიღებული უარყოფითი რეკომენდაცია არ გულისხმობს გარანტირებული (5 ან 7 წლიანი) პოზიციის ნაადრევ შეწყვეტას, არამედ ეს არის მინიშნება, რომ თუ მომავალში სიტუაცია რადიკალურად არ შეიცვალა, ტენუარის მინიჭება შეუძლებელი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ტენუარის არ მინიჭება საცდელი ვადის გასვლის შემდეგ არ უჭრის გზას კანდიდატს აკადემიური მოღვაწეობის გაგრძელებაში. მან შეიძლება გააგრძელოს მუშაობა განახლებული დროებითი კონტრაქტით, ან მიიღოს ტენუარის სტატუსი სხვა უნივერსიტეტში.

ტენუარზე განხილვა შეიძლება მოხდეს დაჩქარებული წესით. მაგალითად, კანდიდატის მოთხოვნით, თუკი ის მიიჩნევს, რომ მისი მეცნიერული მიღწევები აკმაყოფილებს ტენუარის სტანდარტს, ან თუ მას კონკურენტუნარიანი შეთავაზება აქვს სხვა უნივერსიტეტიდან. ასევე, ამ პროცესის ინიცირება კანდიდატის სასარგებლოდ შეუძლია ნებისმიერ ტენუარ პროფესორს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ წამყვან უნივერსიტეტს (განსაკუთრებით, ევროპაში) დღემდე არ გააჩნია ტენუარის გზის პრაქტიკა და ტენურირებული პროფესორის მიღება ხდება პირდაპირი გზით, გარედან ან იმავე უნივერსიტეტის დროებითი პოზიციიდან, მსოფლიოში არსებული ყველა სტანდარტის დაცვით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტენუარის სისტემის არ ქონა ნაკლებად მიმზიდველს ხდის დროებით პოზიციას ძლიერი და კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრებისთვის და თავის მხრივ, არ აძლევს უნივერსიტეტს შერჩეული კანდიდატის ქმედითუნარიანობის და პროფესიული თვისებების შემოწმების საშუალებას.

IV. ტენუარის ინსტიტუტი და აკადემიური თვითმმართველობა

უნივერსიტეტის თვითმმართველობის ძირითადი ორგანო არის ფაკულტეტის (ან დეპარტამენტის) წევრების საერთო კრება, რომელშიც მონაწილეობს მოცემულ დეპარტამენტის ყველა ტენურირებული და ტენუარის კანდიდატი პროფესორები. სტუდენტების წარმომადგენლობითი მონაწილეობის ფორმას და წესებს განსაზღვრავს თავად უნივერსიტეტი გამომდინარე თავისი სტრუქტურისა და სპეციფიკიდან.

თუკი მოცემულ უნივერსიტეტს (ან ინსტიტუტს) დეპარტამენტის სტრუქტურა არ გააჩნია, მაშინ ტერმინი „დეპარტამენტი" უნდა ჩანაცვლდეს შესაბამისი ერთეულით (მაგალითად, ფაკულტეტი, ინსტიტუტი, განყოფილება და ა. შ.).

ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა ხდება საყოველთაო განხილვის შედეგად და კენჭისყრის მეთოდით. კენჭისყრის პროცედურა განისაზღვრება უნივერსიტეტის ან დეპარტამენტის შიდა განაწესით. კრებაზე განიხილება ყველა საკითხი, რომელიც სცილდება ცალკეული პროფესორების უფლება-მოვალეობის სფეროს.

თვითმმართველობის განსახორციელებლად ფაკულტეტის კრება ქმნის დარგობრივ კომიტეტებს, თითოეულს დაახლოებით 3 წევრის შემადგენლობით. ეს კომიტეტები ეწევიან მუშაობას მოცემული მიმართულებით და ანგარიშ-ვალდებულნი არიან კრების მიმართ. მუდმივად ფუნქციონირებადი დარგობრივი კომიტეტები იქმნება ფაკულტეტის (დეპარტამენტის) საქმიანობის მოთხოვნილებებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. ასეთი კომიტეტების ტიპიური მაგალითებია შემდეგი:

1) კურიკულუმის კომიტეტი. მუშაობს კურიკულუმის შემუშავებაზე.

2) დოქტორანტურის კომიტეტი. იხილავს დოქტორანტურის საკითხებს.

3) მომავლის დაგეგმარების კომიტეტი. მუშაობს სამომავლო ოპტიმალური სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე და საჭირო რესურსების შესწავლაზე.

4) თანამდებობაზე აყვანის კომიტეტი. იხილავს ახალი პროფესორების მიღების და კანდიდატების შერჩევის საკითხებს.

5) განთავსების და ფართის კომიტეტი. იხილავს საოფისე და სამუშაო ფართის საკითხებს.

მუდმივმოქმედი კომისიების გარდა, კრებას შეუძლია შექმნას დროებითი კომისიები რაიმე კონკრეტული საკითხის შესასწავლად ან განსახორციელებლად. მაგალითად, ასეთია ზემოთ აღწერილი ტენუარების კომისია, რომელიც შეისწავლის ტენუარის გზაზე მდგარი რომელიმე კონკრეტული პროფესორისთვის ტენუარის მინიჭების საკითხს.

თითოეულ დეპარტამენტს (კათედრას, ან შესაბამის ერთეულს) ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევენ ან (ტენურირებულ და ტენუარის კანდიდატ პროფესორებთან კონსულტაციით) ნიშნავენ გარკვეული ვადით, მაგალითად, 3 წლით. მას ევალება, წარმართოს კრება და, ასევე, ადმინისტრაციულად გაუძღვეს დეპარტამენტს. თავმჯდომარე სრულად ანგარიშვალდებულია კრების წინაშე, გარდა გარკვეული კონფიდენციური საკითხებისა, რომლებიც პირადად ეხება დეპარტამენტის წევრებს. თავმჯდომარე ასევე წარმოადგენს მეკავშირე რგოლს პროფესურასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უმაღლესი ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის პრეზიდენტი (ან რექტორი), რომელსაც, ჩვეულებრივ, ჰყავს დარგობრივი მოადგილეები (ვიცე-პრეზიდენტი, ან ვიცე-რექტორი). ადმინისტრაციის შუალედური რგოლი დეპარტამენტსა და პრეზიდენტის ოფისს შორის, ჩვეულებრივ, არის დეკანის ოფისი, რომელსაც წარმოადგენენ დეკანი და დარგობრივი მოადგილეები.

ადმინისტრაციის საშუალედო რგოლების დასახელება და მოწყობა დამოკიდებულია უნივერსიტეტის სტრუქტურაზე, მაგრამ ეს ტენუარის სისტემის ფუნდამენტურ პრინციპს არ ცვლის.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი უნივერსიტეტის იერარქიაში არის რწმუნებულთა (ან მრჩეველთა, ან რეგენტთა, ან სამეთვალყურეო) საბჭო, რომელსაც გარეშე მეთვალყურის და მრჩეველის როლი აკისრია და დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის გარეთ მყოფი ადამიანებით. ყოველდღიურ მართვაში ეს ორგანო არ ერევა, მაგრამ მნიშვნელოვან მაკონტროლებელ როლს ასრულებს. იგი ასევე ერთვება დიდი მნიშვნელობის კონფლიქტური საკითხების გადაწყვეტაში (მაგალითად, პრეზიდენტის მიერ ძალაუფლების გადამეტება).

V. ტენუარი, როგორც აკადემიური თავისუფლების, მიუკერძოებლობის და ხარისხის დამცავი მექანიზმი

ზემოთქმულიდან აშკარაა, თუ რატომ გვევლინება ტენუარის ინსტიტუტი აკადემიური თავისუფლების, მიუკერძოებლობისა და ხარისხის დამცავ მექანიზმად. ტენუარის სტატუსის მინიჭების კარგად გააზრებული და კონკურენტული პროცესი არის სამეცნიერო და სასწავლო ხარისხის გარანტი.

ტენუარის პოზიციის მუდმივობა და ხელშეუხებლობა ავტომატურად არის აკადემიური თავისუფლების გარანტია არამარტო ტენურირებული პროფესორებისთვის, არამედ მთელი აკადემიური კონტინგენტისთვის. ტენურირებული პროფესორის ერთერთი ფუნდამენტური უფლებაა საბატიკურის უფლება, რაც გულისხმობს, რომ გარკვეული პერიოდულობით (მაგ. 5-6 წელინადში ერთხელ) უნივერსიტეტი ერთი ან ნახევარი წლით ათავისუფლებს პროფესორს მასზე დაკისრებული მოვალეობებისგან და აძლევს მას თავისუფლებას, ეს დრო მიუძღვნას კვლევას მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტში (ორმხრივი თანხმობით), ხელფასის სრული ან ნაწილობრივი შენარჩუნებით.

ტენუარის დაკარგვა შესაძლოა გამონაკლისის შემთხვევებში, როგორიცაა უნივერსიტეტის უკიდურესი ფინანსური პრობლემები, რომლის შედეგი შეიძლება იყოს მოცემული დეპარტამენტის დახურვა, ან დაშლა; ტენურირებული პროფესორის მიერ საპატიო მიზეზის გარეშე თავის პირდაპირ

მე-9 გვერდზე

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტი

მერვე გვერდიდან

პედაგოგიურ მოვალეობაზე უარის თქმა; პროფესორის მიერ სამართლის ან აკადემიური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევა. რადგანაც აკადემიური ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს აკადემიურ მიუკერძოებლობას, ბუნებრივია, რომ ტენუარის ინსტიტუტი ასევე წარმოადგენს ამ უკანასკნელის მტკიცე გარანტიასაც.

VI. ᲐᲮᲐᲚ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

ტენუარის სისტემაზე გადასვლა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. აუცილებელი პირობაა, რომ გადასვლა მოხდეს უმტკივნეულოდ და შოკური თერაპიის გარეშე. ამაში იგულისხმება ის, რომ ახალ სისტემაზე გადასვლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს არსებული მეცნიერ-პედაგოგების აკადემიური კარიერის რისკის ფასად. პირიქით, ახალმა სისტემამ სტაბილურობა უნდა მოუტანოს ყველას. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ახალ სისტემაზე გადასვლის პრინციპი არის არა არსებული კადრების გაცხრილვა, არამედ მათი დასტაბილურება, მათ შორის საუკეთესოების დაწინაურება და წარმატებული კადრების გარედან მოზიდვა. ტენურირებული სტატუსის მისანიჭებელი კანდიდატების გამოსავლენად უნდა შეიქმნას მიუკერძოებელი გარეშე ტენურირების კომიტეტი, რომელმაც შერჩევის პროცედურა უნდა ჩაატაროს საერთაშორისო სტანდარტის ყველა დაცვით.

საწყის ეტაპზე უმჯობესია, რომ ასეთი კომიტეტები შეიქმნას ქვეყნის მასშტაბით, რათა ასევე მოემსახუროს რეგიონულ ინსტიტუტებს კანდიდატების მიუკერძოებელ შერჩევაში.

გამორიცხული უნდა იყოს კანდიდატის ხარისხზე მოთხოვნების დადაბლება, შესაბამისი მაღალი ხარისხის კანდიდატურების არარსებობის გამო. თუკი მოცემულ ტენურირებულ პოზიციაზე შესაბამისი ხარისხის კანდიდატი არ მოიძებნა, ასეთ შემთხვევაში უმჯობესია რომ არც ერთი კანდიდატი არ აირჩეს და პროცესი განახლდეს. ასეთი გადავადება სასწავლო პროცესს და უნივერსიტეტის ნორმალურ ფუნქციონირებას არ შეაფერხებს, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, ტენუარის სისტემაზე გადასვლა არანაირად არ გულისხმობს არსებული კონტრაქტების შეწყვეტას, ან არგაგრძელებას. ყველაზე რთული ამოცანაა ტენურირებული პოზიციისთვის მაღალი დონის კადრების გარედან მოზიდვა.

ამისათვის აუცილებელია, რომ კადრების რეკრუტმენტი ხდებოდეს არა მხოლოდ პასიურად, რაც გულისხმობს კონკურსის გამოცხადებას და კანდიდატთა არჩევას მხოლოდ იმ კანდიდატებიდან, ვინც კონკურში საბუთებს შემოიტანს.

აუცილებელია, პარალელურად აქტიური, ანუ ეგრეთ წოდებული, კადრების აგრესიული რეკრუტმენტის გატარება, რაც გულისხმობს შესაბამისი პროფესიონალების მსოფლიო მასშტაბით გამოვლენას და მათ მოზიდვას. ასეთი კადრების დასაინტერესებლად გამოყენებული უნდა იყოს ხელთ არსებული ყველა რესურსი, მათთვის შეძლებისდაგვარად საუკეთესო პირობების შექმნით.

ამასთანავე, უნდა დაინერგოს ერთობლივი ტენურირებული ან დროებითი პოზიციების პრაქტიკა, როდესაც მოცემული პროფესორი თავის სამუშაო დროს ანაწილებს ორ უნივერსიტეტს (ან ინსტიტუტს) შორის. მაგალითად, ასწავლის ერთი სემესტრი თბილისში და დანარჩენი დრო საზღვარგარეთის რომელიმე უნივერსიტეტში.

(****) წარჩინებულთა კლასტერის ინიციატივა

უნივერსიტეტების სტიმულირებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ე.წ. წარჩინებულთა კლასტერის ინიციატივა.

ეს ინიციატივა გულისხმობს რეფორმის დაწყებიდან გარკვეული ვადის შემდეგ უნივერსიტეტების შეფასებას სპეციალური მიუკერძოებელი კომისიის მიერ. ამ შეფასების მიზანია, გამოვლინდეს ყველაზე წარმატებული უნივერსიტეტები, რომლებიც მიიღებენ შესაბამის რანგს წარმატებულთა კლასტერის სახით.

ასეთი გრადაცია რამდენიმე მიზანს ემსახურება და, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე წარმატებული უნივერსიტეტების გამოვლენას. იგი ასევე სტიმულს აძლევს უნივერსიტეტებს, რომ მოხვდნენ წარმატებულთა რიგებში. ასევე, ემსახურება შედარებით წარუმატებელი უნივერსიტეტების გამოვლენას და გეგმების შემუშავებას მათი დახმარებისთვის.

VII. ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

****) საუნივერსიტეტო მეცნიერება***

როგორც ზემოთ იქნა განმარტებული, წამყვანი უნივერსიტეტები, ამავე დროს, წამყვანი სამეცნიერო კვლევითი ცენტრებია. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის პროფესორები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო კვლევებში და უზრუნველყოფილი არიან ამ კვლევისთვის აუცილებელი რესურსებით, როგორებიცაა ლაბორატორიული ფართი, ხელსაწყო-დანადგარები, სამეცნიერო პერსონალი (პოსტდოკტორანტები ან სხვა მკვლევარი პერსონალი) და ტექნიკური პერსონალი. ამასთანავე, პროფესორების ნაწილი შეიძლება თავის კვლევებს აწარმოებდეს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ, მაგალითად, ექსპერიმენტული თანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც ოპერირებს სხვა დაწესებულებაში.

კვლევებისათვის საჭირო რესურსების წყარო არის შემდეგი:

1) პირდაპირ უნივერსიტეტიდან. ამ წყაროს შეიძლება ჰქონდეს ერთჯერადი ან რეგულარული ხასიათი.

ერთჯერადი დაფინანსების მაგალითია ერგეთ წოდებული სასტარტო გრანტი, რომელიც ეძლევა უნივერსიტეტში ახლად მიღებულ პროფესორს (ტენურირებულს ან ტენუარის გზაზე მდგომს) მისი ლაბორატორიის ან კვლევის ჯგუფის საწყისი მოწყობისთვის. ამ გრანტის ოდენობა განისაზღვრება პროფესორსა და უნივერსიტეტს შორის მოლაპარაკების შედეგად.

2) დაფინანსების მეორე წყარო არის პროფესორების მიერ მოპოვებული გარეშე გრანტები.

3) მსოფლიოს წამყვან საუნივერსიტეტო მეცნიერებაში მიღებული წარმატებული პრაქტიკაა, როდესაც ამა თუ იმ დარგის განვითარების ან სტიმულირების მიზნით უნივერსიტეტი ქმნის კვლევით დარგობრივ ან პრობლემურ ინსტიტუტს ან ცენტრს. ცენტრი აერთიანებს უნივერსიტეტის ერთი ან სხვადასხვა კომპლიმეტური დარგების ტენურირებული (და ტენუარის გზაზე მდგომი) პროფესორების გარკვეულ რაოდენობას და მათთან მომუშავე მკვლევარებსა და ტექნიკურ პერსონალს. ასეთი ცენტრების უპირატესობა ისაა, რომ მასში გაერთიანებული მკვლევარები დამატებით დაფინანსებას იღებენ უნივერსიტეტიდან, ცენტრის ეგიდით და ქმნიან კრიტიკულ ინტელექტუალურ და ტექნიკურ მასას მეცნიერების უფრო ეფექტურად და მაღალ დონეზე გასავითარებლად. ამ მიზნით, უნივერსიტეტმა შეიძლება კერძო დონორები მოიზიდოს. განსაკუთრებით მსხვილი დონორის არსებობის შემთხვევაში, ცენტრს ან შენობას, რომელშიც იგია განთავსებული, შეიძლება დონორის სახელი დაერქვას. ამგვარად, უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო ცენტრი გვევლინება, როგორც უნივერსიტეტში ფინანსების მოზიდვის დამატებითი და ძალიან ეფექტური წყარო.

გარდა ამისა, ცენტრში გაერთიანებულმა პროფესორებმა შეიძლება ისარგებლონ დამატებითი პრივილეგიებით, მაგალითად შემცირებული სასწავლო დატვირთვით, რაც მათ საშუალებას აძლევს, მეტი დრო დაუთმონ კვლევებს.

*****) არასაუნივერსიტეტო მეცნიერება***

არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო სისტემა მოიცავს საზოგადო მეცნიერების იმ ნაწილს, რომელიც ბაზირებულია უნივერსიტეტების გარეთ არსებულ აკადემიურ დაწესებულებებში. ეს კატეგორია არ მოიცავს სამეცნიერო კვლევებს, რომლებიც არ მიეკუთვნება საზოგადო სფეროს (public domain) (ასეთებია, მაგალითად, კვლევები, რომლებსაც შეიძლება აწარმოებდეს ცალკეული კერძო კომპანიები, ან სახელმწიფო გასაიდუმლოებული ლაბორატორიები და ა.შ.).

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ მხოლოდ იმ კატეგორიას, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ სფეროს (პუბლიც დომაინ) მიეკუთვნება, ანუ კვლევები, რომელთა შედეგებიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ პერიოდიკაში ქვეყნდება და რომელთა შედეგითაც შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს მსოფლიოს ნებისმიერმა მკვლევარმა, მეცნიერული ეთიკის ნორმების სათანადო დაცვით.

ასეთი მეცნიერული დაწესებულებები შეგვიძლია ორ ნაწილად დავყოთ.

პირველი კატეგორია - ეს არის დამოუკიდებელი მრავალდარგობრივი ინსტიტუტი, რომელსაც სრული ავტონომია აქვს და რომელიც არ მოიაზრება უფრო დიდი სისტემის ნაწილად. ასეთია, მაგალითად, “advanced study”-ს ტიპის ინსტიტუტები.

მეორე კატეგორია - ეს არის ინსტიტუტების ქსელი, რომელთაგან თითოეული უფრო ფოკუსირებულია მოცემულ დარგზე. ამ უკანასკნელის შესანიშნავი მაგალითია მაქს პლანკის ინსტიტუტების უაღრესად წარმატებული სისტემა გერმანიაში და ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი ამერიკაში.

კონკრეტული მოდელის არჩევა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორებიცაა ტრადიციები, ისტორიული მოცემულობა, დაფინანსების მოცულობა და წყარო.

ამ ზოგადი კონცეფციის მიზანი არ არის კონკრეტული მოდელის შემოთავაზება. მისი მიზანია საბაზისო პრინციპების ჩამოყალიბება, რომლებიც დაცული უნდა იყოს, კონკრეტული მოდელის არჩევისგან დამოუკიდებლად.

უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, ეს ორგანიზაციები არ არიან ჩართული ბაკალავრიატის ქვედა სასწავლო პროცესში, მაგრამ აქტიურად მონაწილეობენ დოქტორანტი სტუდენტების მომზადებაში და მეცნიერულ კვლევებში მათ ჩართვაში. ეს, როგორც წესი, ხორციელდება რომელიმე უნივერსიტეტთან ერთად, ვინაიდან დოქტორის სტატუსის მინიჭება უნივერსიტეტის ბაზაზე ხდება. თუმცა, შეიძლება ასევე ინსტიტუტს მიეცეს დოქტორის ხარისხის მინიჭების უფლება.

ისევე, როგორც უნივერსიტეტში, ამ კვლევითი ინსტიტუტების წარმატება ეფუძნება აკადემიურ თავისუფლებას. წარმატების მთავარი საფუძველი ისაა, რომ ეს ინსტიტუტები მსოფლიო მასშტაბის მეცნიერების გარშემო აშენებული სტრუქტურებია, სადაც მეცნიერებს აქვთ სრული თავისუფლება, აირჩიონ კვლევის საგანი, შეარჩიონ სამეცნიერო პერსონალი და წარმართონ კვლევის პროცესი თავის შეხედულებისამებრ. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ამ ინსტიტუტების მთავარი სტრუქტურული პრინციპი ჰარნაკის პრინციპია, რომლის ძირითადი აზრი არის ის, რომ სამეცნიერო ინსტიტუტი მეცნიერის პიროვნებაზე ცენტრირებული კვლევითი ორგანიზაციაა.

ისევე, როგორც უნივერსიტეტში, აკადემიური თავისუფლება დაცულია ტენუარის სისტემით, რომელიც თავის შინაარსით საუნივერსიტეტო ტენუარის მსგავსია. განხორციელების დეტალები (მაგ. ტენუარის გზის არსებობა ან არარსებობა) დამოკიდებულია სპეციფიკაზე და შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ინსტიტუტის შინაგანაწესის დადგენისას.

მთავარი თვითმმართველი ორგანო არის ტენურირებული მეცნიერების კრება, რომელიც მისდამი დაქვემდებარებულ დარგობრივ კომიტეტებს ქმნის.

ინსტიტუტების მაკონტროლებელი და დამცავი ფუნქცია აკისრია გარეშე მრჩეველთა საბჭოს, რომელიც დაკომპლექტებულია მსოფლიო წამყვანი სპეციალისტებით. საბჭოს წევრებს ირჩევს და იწვევს ინსტიტუტის უმაღლესი ადმინისტრაცია ინსტიტუტის ტენურირებული წევრების მიერ შეთავაზებული სიიდან. საბჭოს არჩევა ხდება დროებით, მაგალითად, 3 წლის ვადით. ეს საბჭო პერიოდულად ახდენს ინსტიტუტის მუშაობის მონიტორინგს და წერს სათანადო დასკვნას, თავისი ანალიზით და რეკომენდაციით, რომელიც ეგზავნება ინსტიტუტის უმაღლეს ადმინისტრაციას და ტენურირებული პროფესურის საბჭოს.

ამგვარი მონიტორინგის მიზანია ხარვეზების გამოვლენა როგორც მეცნიერული კონტინგენტის, ასევე, ადმინისტრაციის მუშაობაში. მაგალითად, ანალიზის შედეგად საბჭომ შეიძლება აღნიშნოს ამა თუ იმ კვლევის მიმართულების უპერსპექტივობა. რა თქმა უნდა, აკადემიური თავისუფლების კონცეფციიდან გამომდინარე, არც საბჭოს და არც ადმინისტრაციას არ შეუძლია პირდაპირ აუკრძალოს ტენურირებულ მეცნიერს კვლევების გაგრძელება, მაგრამ შეუძლია გახადოს კვლევების მიზანშეწონილობა დეტალური გარჩევის საგნად; რისთვისაც, თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება შეიქმნას სპეციალური დროებითი კომისია. გაუმართლებლად ძვირი პროექტის შემთხვევაში, საბოლოოდ შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება მოცემული პროექტის დაფინანსების შეზღუდვის ან შეწყვეტის შესახებ.

ამრიგად, ისევე, როგორც საუნივერსიტეტო სისტემაში, წარჩინებული მკვლევარების გარშემო აწყობილი და აკადემიურ თავისუფლებაზე დაფუძნებული დეცენტრალიზებული საინსტიტუტო სისტემა შედგება სამი მმართველი რგოლისგან: ტენურირებულ მკვლევარ-პროფესორთა კრება, ინსტიტუტის (ან ინსტიტუტთა ქსელის) უმაღლესი ადმინისტრაცია (პრეზიდენტის ოფისი) და გარეშე მრჩეველთა საბჭო.

ამ სამი რგოლის თანაარსებობა და კონსტრუქციული თანამშრომლობა არის მეცნიერის აკადემიური თავისუფლების ხელშეუხებლობის და, ამავე დროს, ხარისხის ეფექტური კონტროლის გარანტი. ასეთი ტიპის ინსტიტუტების უპირატესობა ის არის, რომ აკადემიურ კოლექტივს აქვს საშუალება, მთლიანად ფოკუსირდეს მეცნიერულ კვლევაზე, რაც მათი ძირითადი მოვალეობაა. მათ არ გააჩნიათ დაბალ კურსებზე სწავლების ვალდებულება.

საინსტიტუტო მეცნიერების დიდი უპირატესობა არის გარანტირებული კვლევითი დაფინანსება, რომელიც პირდაპირ ინსტიტუტის ბიუჯეტიდან მოდის. შესაბამისად, მკვლევარებს ეძლევათ საშუალება, დაზოგონ დრო და ენერგია გრანტის აპლიკაციების არასაჭიროებიდან გამომდინარე, და ეს ენერგია და დრო მეცნიერულ კვლევას მოახმარონ. ამავე დროს, მათ საშუალება ეძლევათ, კვლევის სტრატეგია დაგეგმონ უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე ამას მოკლევადიანი გრანტული სისტემა იძლევა.

წამყვანი მსოფლიო პრაქტიკა უჩვენებს, რომ ასეთი სისტემა წარმატებით თანაარსებობს საუნივერსიტეტო კვლევების სისტემის გვერდით და ავსებს მას. შესაბამისად, ჩვენი კონცეფციის თანახმად, ასეთი ორი სისტემის თანაარსებობა აუცილებლად უნდა ჩაიდოს ქვეყნის მეცნიერული მოწყობის სტრატეგიაში.

VIII. ᲡᲐᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

როგორც უკვე ითქვა, ჩვენი კონცეფცია ითვალისწინებს აკადემიურ თავისუფლებასა და ჰარნაკის პრინციპზე დაფუძნებული

მე-10 გვერდზე

კ ო მ უ ნ ი კ ე

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტი

მეცხრე გვერდიდან

საინსტიტუტო მეცნიერების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში ხდებოდა სამეცნიერო სისტემის ჰარნაკის პრინციპზე მოწყობის იმიტაცია, ეგრეთ წოდებული საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების ქსელის სახით. ეს ქსელი შესაბამისად კოპირებული იყო რესპუბლიკებშიც. რა თქმა უნდა, ხდებოდა მხოლოდ პრინციპის იმიტაცია. გასაგები მიზეზების გამო, საბჭოთა კავშირში შეუძლებელი იყო აკადემიური თავისუფლების დანერგვა. ჩვენი მიზანია შეიქმნას საინსტიტუტო მეცნიერული საზოგადოება, როგორც თვითრეგულირებადი და შესაბამისად თვითმმართვადი ორგანიზმი, რომელშიც მეცნიერული ხარისხის კონტროლი ხორციელდება თანასწორუფლებიან კოლეგათა მიუკერძოებელი ურთიერთ შეფასების გზით და არა რომელიმე პრივილეგირებული ჯგუფის შეხედულების მიხედვით

ამისათვის უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

კონკურსის და საერთაშორისო მიუკერძოებელი ექსპერტთა პანელის დახმარებით უნდა გამოვლინდეს ის ცალკეული ინსტიტუტები ან ინსტიტუტთა ჯგუფები, რომელთა ბაზაზე შეიძლება მოხდეს განახლებული ინსტიტუტების ან მათი ქსელის შექმნა. გამოვლენილ სიცოცხლისუნარიან სტრუქტურებში უნდა მოხდეს პირველადი ტენურირება — ანუ ტენურარის (ან ტენურარის გზის) სტატუსის მინიჭება არსებული კადრებისთვის კონკურსის გზით შერჩევით და ახალი კადრების გარედან მოზიდვით. ტენურირება უნდა მოხდეს გარეშე მიუკერძოებელი კომიტეტის მიერ. ამის შემდეგ უნდა შეიქმნას მართვის ზემოხსენებული სამი რგოლი: ტენურირებულ მეცნიერთა საბჭოს, უმაღლესი ადმინისტრაციის (პრეზიდენტის ოფისი) და გარეშე მრჩეველთა საბჭოს სახით.

რა თქმა უნდა, სამეცნიერო პოტენციალის განაწილება არაერთგვაროვანია და სხვადასხვა ინსტიტუტი სხვადასხვა პირობებშია. ზოგიერთ მათგანს საერთაშორისო სახელი აქვს და ჰყავს დიდი რაოდენობა მასთან აფილირებული მეცნიერებისა, რომლებიც დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან ცენტრში მოღვაწეობენ. ამ კადრების უმეტესობა მზადაა, მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის განახლებაში ამა თუ იმ ფორმით.

ასეთი ინსტიტუტები განსაკუთრებულ პერსპექტიულ ბაზებს წარმოადგენენ საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარებისთვის.

სხვა შემთხვევებში კი, ინსტიტუტის სიცოცხლისუნარიანობას და პერსპექტიულობას დეტალური შესწავლა სჭირდება

ასევე ზოგიერთ შემთხვევაში ახალი ინსტიტუტი შეიძლება შეიქმნას დროებით (მაგალითად, 5 წლის ვადით) და მას მუდმივი სტატუსი მიენიჭოს მხოლოდ მას შემდეგ რაც ინსტიტუტის სიცოცხლისუნარიანობა დამტკიცდება საცდელი ვადის გასვლის შემდეგ. ასეთი სქემა აპრობირებულია მსოფლიო პრაქტიკაში, მაგრამ პოტენციური სიძნელე რომელიც ამ მოდელს ახლავს თან არის ის, რომ საცდელი ვადების გასვლამდე არ ხერხდება ტენურარის მინიჭება, რაც აძნელებს ასეთი სტატუსის შესაფერისი კადრების მოზიდვას. ასეთ შემთხვევაში მოზიდულ კადრებს შეიძლება ტენურირებული სტატუსის გარანტია მიეცეთ რაიმე სხვა უნივერსიტეტის ბაზაზე.

(*****) ადამიანური ფაქტორი და მეცნიერ-თანამშრომლები, როგორც სკოლის რესურსი

საინსტიტუტო რეფორმამ აუცილებლად უნდა გადაჭრას ადამიანურ ფაქტორთან დაკავშირებული შემდეგი საკითხი. არსებობს მეცნიერ-მუშაკთა საკმაოდ დიდი კონტინგენტი, რომელსაც, მიუხედავად გაუსაძლისი სამუშაო და მატერიალური პირობებისა, არ შეუწყვეტია გარკვეული რეგულარული მეცნიერული აქტივობა. გასაგები მიზეზების გამო, მათი კვლევის შედეგები შეიძლება არ გამოირჩეოდეს განსაკუთრებით მაღალი ხარისხით, მაგრამ ამ მკვლევარებმა დაამტკიცეს თავისი ერთგულება მეცნიერების მიმართ და თავისი წვლილი შეიტანეს მეცნიერული ატმოსფეროს შენარჩუნებაში. მეცნიერული კოლეგიალობა ცალსახად გვავალდებულებს, რომ ასეთ მკვლევარებს შეუნარჩუნდეთ ხელფასი და მინიმალური პირობები მაინც შეექმნათ მეცნიერული მოღვაწეობის გასაგრძელებლად.

აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორი.

ასეთი მკვლევარები ფასდაუდებელ რესურსს წარმოადგენენ სკოლის მასწავლებლების რიგების შესავსებად. სკოლებში კვალიფიციური კადრების უდიდესი დეფიციტია. ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა დაიწყოს სისტემატური მუშაობა და მოხდეს კვალიფიციური, მაგრამ კვლევაში შედარებით ნაკლებად აქტიური მეცნიერ-მუშაკების მიზიდვა სკოლის მასწავლებლების და მათი გადამმზადებლების რიგებში. ასევე, სამეცნიერო ხარისხის მქონე სკოლის მასწავლებლებს უნდა შეექმნათ ძლიერი მატერიალური დაინტერესება.

IX. დაფინანსება

საუნივერსიტეტო და საინსტიტუტო მეცნიერების დაფინანსების ძირითადი წყაროებია:

1) პირდაპირი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან

2) გრანტული დაფინანსება

3) კერძო დონორები

4) უნივერსიტეტის შემთხვევაში სტუდენტური გადასახადები

ქვემოთ გარკვეულ კომენტარებს და განმარტებებს გავაკეთებთ ამ წყაროების შესახებ.

1) პირდაპირი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან

საბიუჯეტო დაფინანსება განათლებისა და მეცნიერებისთვის გადამწყვეტია. საბოლოო ორიენტირი უნდა იყოს 3 %-იან დაფინანსებაზე გადასვლა. ეს, ერთი შეხედვით, დიდი ეკონომიური ტვირთი, სინამდვილეში, ყველაზე მომგებიანი ინვესტიციაა, რაც ქვეყანამ შეიძლება ჩადოს. დღეს განათლებასა და მეცნიერებაში ჩადებული რესურსი ასმაგი მოგებით დაგვიბრუნდება ხვალ როგორც პირდაპირი ეკონომიური მოგების, ასევე, ზოგადი ინტელექტუალური და პროფესიული დონის ამაღლების ხარჯზე.

2) გრანტული დაფინანსება

გრანტული დაფინანსება ორ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, თავის პირდაპირ ფუნქციას — ხელი შეუწყოს მეცნიერულ კვლევას. მაგრამ, ამავე დროს, დაფინანსების ეს წყარო უდიდესი სტიმულია უნივერსიტეტების დონის ამაღლებისთვის. ვინაიდან უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული გრანტული დაფინანსება პირდაპირპროპორციულია უნივერსიტეტის მეცნიერული პოტენციალის, იგი სტიმულს აძლევს უნივერსიტეტს, თავის პროფესორთა რიგებში წამყვანი მკვლევარები მოიზიდოს. რა თქმა უნდა, მოზიდვის პროცესი თავის მხრივ მოითხოვს ამ მკვლელართათვის სათანადო კონკურენტუნარიან სამუშაო და მატერიალური პირობების შექმნას. ბუნებრივია, რომ ამ პირობების შექმნა საგრძნობ ფინანსურ დაბანდებებთან არის დაკავშირებული. მაგრამ უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ წამყვანი მეცნიერების მოზიდვაში დახარჯული სახსრები ეს ის ინვესტიციაა, რომელიც მომავალში დაუბრუნდება არამარტო პრესტიჟის, არამედ ამ აქტიური მეცნიერების მიერ მოზიდული გრანტული და სტუდენტური გადასახადების სახით.

3) კერძო დონორები

კერძო დონორები უნივერსიტეტის დაფინანსების ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია

მათი მოზიდვისთვის გამოყენებულ უნდა იქნას უნივერსიტეტის კავშირებისა და პრესტიჟის მთელი რესურსი. პოტენციური დონორების განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენენ ალუმნები. ამიტომ მნიშვნელოვანია ალუმნების რესურსის მაქსიმალური გამოყენება. უნივერსიტეტის უამრავი ფინანსურად წარმატებული კურსდამთავრებული სიხარულით შეიტანს წვლილს უნივერსიტეტის დაფინანსებაში.

შემოწირებულობების განსაკუთრებული კატეგორიაა სახელობითი შემოწირულობები. ეს ის სიტუაციაა, როდესაც მსხვილი დონორის სახელი ერქმევა უნივერსიტეტის ან ინსტიტუტის ამა თუ იმ შენობას, ლაბორატორიას, კვლევით ცენტრს, სტუდენტურ სტიპენდიას, პროფესორის პოზიციას და ა. შ. რა თქმა უნდა, ყველა შემოწირულობა ვერ იქნება ასეთი დიდი მასშტაბის, მაგრამ ნებისმიერი უნდა დაფასდეს. ამისათვის შეიძლება შემოღებულ იქნას ე. წ. ოქროს დაფების სისტემა, როდესაც დონორის სახელები ოქროსფერ ფირფიტაზე იქნება ამოტვიფრული და თვალსაჩინო ადგილას მოთავსებული. აუცილებელია, სახელმწიფო კანონმდებლობამ შემოწირულობები დაბეგვრიდან გაათავისუფლოს და ქველმოქმედებას გაუტოლოს.

კერძო შემოწირულობების მოზიდვაში უნივერსიტეტის პრეზიდენტის (რექტორის) როლი განსაკუთრებულია. ამისათვის პრეზიდენტის ოფისთან შეიძლება დაარსდეს მუდმივმოქმედი სამსახური, რომლის ფუნქცია იქნება პოტენციური დონორების გამოვლენა და მათი მოზიდვა. დონორებს კარგად უნდა განემარტოთ, თუ რამდენად საჭირო საქმისთვის გაიღებენ ისინი ფინანსებს და რამდენად პრესტიჟულია ასეთი დონორობა. ამავე დროს, აუცილებელია, დონორებმა სრულად გააცნობიერონ, რომ აკადემიური თავისუფლების ძირითადი პრინციპის თანახმად, მათ არ შეუძლიათ რაიმე გავლენა იქონიონ აკადემიურ გადაწყვეტილებებზე - თვით მათივე შემოწირულობის განკარგვის შესახებაც კი.

4) უნივერსიტეტის შემთხვევაში სტუდენტური გადასახადები

ამ ზოგადი კონცეფციის მიზანი არ არის სტუდენტური გადასახადების დეტალური სქემის მორგება თითოეულ უნივერსიტეტზე. მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი ამოსავალი პრინციპი, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ გადასახადებში უნდა ჩაიდოს, არის ის, რომ ოჯახის მატერიალურმა მდგომარეობამ არანაირად არ უნდა შეუშალოს ხელი სტუდენტს სწავლის შესაძლებლობაში. სახელმწიფო უნივერსიტეტმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს მატერიალურად არაუზრუნველყოფილი სტუდენტების დაფინანსება და, წარჩინებული სტუდენტების შემთხვევაში, მათი სტიპენდიებით უზრუნველყოფა.

ამისათვის უნდა გატარდეს ზომათა მთელი კომპლექსი, რომელიც, გარდა სახელმწიფო დახმარებისა, ასევე შეიცავს კერძო დონორების მიერ დაარსებული სახელობითი ფელოუშიპების (სტიპენდიების, ან დაფინანსების) ამოქმედებას.

ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ

ᲒᲐᲣᲛᲯᲔᲚᲔᲚᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲗᲐᲜ

სკოლის მასწავლებლის და დედის კვალს გაყოლილ ისტორიკოსს, ცოტა არ იყოს, უჭირს საუბრისას გვერდი აუაროს იმ რეალობას, რასაც წლების მანძილზე თვალს უსწორებდა... თანამედროვე ისტორიას მომავალი თაობები დაწერენ, მაგრამ მიმდინარე პროცესებში მისი მონაწილეობა უკვე ისტორიაა. ბატონი გიორგი ოთხმეზური 1991 წლიდან დღემდე თსუ-ის ისტორიის მიმართულების პროფესორია, კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, გეგმავს — დაწეროს ქართული ეპიგრაფიკის სახელმძღვანელო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. მან მხოლოდ საკუთარი შრომითა და მოღვაწეობით შეძლო თავის დამკვიდრება საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილში და დედის — მარიამ ლორთქიფანიძის სახელით არასდროს უსარგებლია. არის ზომიერად მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ლექტორი — ასე ახასიათებენ მას სტუდენტები, რომლებიც ბატონი გიორგის მთავარ ღირებულებად მის პრინციპულობასა და მოქალაქეობრივ აზროვნებას მიიჩნევენ.

დაიბადა 1954 წლის 4 აგვისტოს; 1971 წელს დაამთავრა თბილისის 57-ე საშუალო სკოლა; 1971-1976 წლებში სწავლობდა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე; 1976-1991 წლებში გახლდათ ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. მას შემდეგ კი უნივერსიტეტში ემსახურება თავის პროფესიას, რაც მისგან სიმართლის ღაღადს უფრო მოითხოვს, ვიდრე მის მალვას... ამ პრინციპისთვის მას არასდროს უღალატია...

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

— რამ განაპირობა თქვენი ისტორიით დაინტერესება? ეს იყო თქვენი დამოუკიდებელი არჩევანი თუ დედის გავლენა, რომელიც ყველასთვის კარგად ცნობილი ისტორიკოსია?

— მართალი გითხრათ, ჩემს გადაწყვეტილებაზე დიდი როლი ოჯახმაც ითამაშა და ჩემი სკოლის ისტორიის მასწავლებელმაც — პეტრე თუმანიშვილმა. მაშინ საქართველოს ისტორია თითქმის არ ისწავლებოდა. მოგეხსენებათ, რომ სკოლებში, იმ პერიოდში, ძირითადად, საბჭოთა კავშირის ისტორიას ასწავლიდნენ. პეტრე თუმანიშვილი ამ საგნის ხარჯზე ჩუმად გვიტარებდა გაკვეთილებს საქართველოს ისტორიაში, რამაც დიდწილად განაპირობა ჩემი ისტორიით დაინტერესება. ამ მისწრაფებას ოჯახური გარემოებაც უმყარებდა ,,ფესვს", რამეთუ ჩვენს სახლში ხშირად იკრიბებოდა ახლობლების წრე და დედის მეგობრები — ძირითადად ისტორიკოსები, რომლებიც სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობდნენ.

— ვისი სტუმრობა გიყვარდათ განსაკუთრებით ბავშვობისას?

— ჩვენთან ხშირად მოდიოდა ირაკლი სურგულაძე, ნოდარ ნაკაშიძე, ზურაბ ანჩაბაძე, შოთა მესხია, რომელთა საუბრებსაც ვისმენდი. ჩემს ოჯახში შეკრებილ ისტორიკოსთა წრე საკმაოდ ფართო იყო — გივი ჯამბურია, ნოდარ შოშიაშვილი, რომელიც ჩემი საკანდიდატო თემის ხელმძღვანელი იყო. სამწუხაროა, რომ იგი უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან და ჩემს შემდგომ თაობებს მოაკლდა ასეთი ბრწყინვალე პიროვნება და ლექტორი.

— თანამედროვე ახალგაზრდებს ხშირად უჭირთ იმის აღქმა, თუ რამდენად დიდი ზეწოლის ქვეშ ისწავლებოდა საქართველოს ისტორია და რამდენად ფარულად ახერხებდნენ ამას თითქმის თავგადადებული ლექტორები. თქვენ რას ეტყვით იმ პერიოდის შესახებ ახალ თაობას, რომელსაც საბჭოთა სისტემის წნეხის სიმძიმის წარმოდგენაც კი უჭირს...

— დღევანდელი გადასახედიდან ძნელია იმის გააზრება, თუ რა ხდებოდა მაშინ, განსაკუთრებით ეს ეხება 30-იან, 40-იან, 50-იან წლებს. 60-იანი წლებიდან, ასე თუ ისე, ცოტა შესუსტდა რეჟიმი. რუსეთის მხრიდან დემოგრაფიული ექსპანსიის პირობებში არაერთი პრობლემის წინაშე იდგა საქართველო და ქართული მოსახლეობა. რატომ იყო შეტევა რელიგიაზე? რუსები ხომ მართლმადიდებლები არიან? საქართველოში მოსული ყველა დამპყრობელი ქართულ მართლმადიდებლობას ებრძოდა და მათ შორის რუსეთიც. უამრავი ეკლესიები დახურეს, გარდა დიდი ქალაქების ეკლესიებისა, სიძველის კვალის წაშლა სხვადასხვა მეთოდებით მოინდომეს, წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე აღევლინებოდა მხოლოდ. ესეც გარუსების პოლიტიკა იყო. იგივე დამოკიდებულება იყო ეროვნული ისტორიის მიმართაც, მაგრამ იმას მაინც მივაღწიეთ, რომ იმ ავადსახსენებელ საბჭოთა კავშირის დროს ერთადერთ ეროვნულ სახელმძღვანელოდ 40-50-იან წლებში საქართველოს ისტორია სახელდებოდა. სსრკ-ს მასშტაბით მხოლოდ სომხეთის უნივერსიტეტში და თბილისში ფუნქციონირებდა ეროვნული ისტორიის კათედრები. მიუხედავად ამ უფლებისა, მაინც უნდოდათ, რომ საქართველოს ისტორია ისე წარმოეჩინათ, როგორც საბჭოთა კავშირის ისტორიის ნაწილი, რამეთუ ჩვენ ერთიანი საბჭოთა ხალხი უნდა გავმხდარიყავით. არც საზღვარი უნდა გვქონოდა, არც ეროვნება და არც არაფერი — აქეთკენ მიდიოდა ყველაფერი.

— ასეთ პირობებში რამდენად იყო მიმზიდველი თქვენი პროფესია მაშინ?

— ჩემზე უფროსი თაობის ისტორიკოსები ახერხებდნენ მაინც თავისი სათქმელის თქმას. დედასგან მახსოვს, რომ როცა ისტორიის ინსტიტუტის დირექტორობისას ნიკო ბერძენიშვილი წლიურ სამუშაო გეგმას ადგენდა, ფიქრობდა იმაზე — ახლა რა ვუყოთ ბაბილინასო? ქალბატონი ბაბილინა ლომინაძე მაშინ რელიგიის ისტორიის საკითხებზე მუშაობდა. ამიტომ ნიკო ბერძენიშვილს სასწავლო გეგმაში მისთვის ისეთი სახელწოდების საგანი შეჰქონდა, რომ ღიად არ გამოჩენილიყო ეკლესიის ისტორიის სწავლება და ქალბატონი ბაბილინა ვითომ მიწათმფლობელობის და ფეოდალიზაციის საკითხებს ასწავლიდა. ამას აკეთებდა ისე შენიღბულად, რომ ვერაფერს მიმხვდარიყვნენ ვერც ჩვენთან ცეკაში და ვერც იქ, მოსკოვში.

მოთხოვნა იყო ცალსახა, რომ ყველაფერი აუცილებლად მარქსისტული თვალთახედვით უნდა დაწერილიყო. ნებისმიერ სადისერტაციო ნამუშევარში ან წიგნში, რომელსაც შეიძლებოდა დღის სინათლე ეხილა, უეჭველად უნდა ყოფილიყო შეტანილი რაიმე ციტატა მაინც ან მარქსიდან, ან ენგელსიდან, ან ლენინიდან. სხვათა შორის ჩვენთან უფრო მეტი თავისუფლება იყო ამ საკითხთან დაკავშირებით 70-იან წლებში, ვიდრე რუსეთში.

თუმცა, რადგან ეს საკითხი წამოჭერით, აუცილებლად უნდა ითქვას იმ თამამი ნაბიჯების შესახებ, რასაც ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი თავიანთი ნაშრომებით დგამდნენ. მათი მემკვიდრე იყო შოთა მესხია და სხვები, რომლებიც, ყველანი ერთად, უდიდესი პატრიოტები იყვნენ, როგორც მასწავლებლები და პედაგოგები. ეს მათ ნაწერებშიც ძალიან კარგად ჩანს. ისინი ახერხებდნენ ჭეშმარიტი ისტორიის წერას და რეალური ფაქტების შემონახვას თაობებისთვის.

ამის შემდგომი მაგალითებიც გვაქვს, რაც პირადად ჩემთვის არის ცნობილი. როგორც ვიცი, როინ მეტრეველმა დიდი საყვედური მიიღო დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე წიგნების დაწერის გამო, რადგან საბჭოთა პერიოდში მეფეთა ისტორიის წარმოჩენა არ სურდათ. დედას წერილიც შემიძლია გავიხსენო, რომელშიც ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ იყო საუბარი და რომლის სათაურშიც მათ შესახებ ლეგენდა ფიგურირებდა. სიტყვა ,,ლეგენდა" დედამ შეფარვის მიზნით გამოიყენა, რომ მითად და ზღაპრად შეეთავაზებინა ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ დაწერილი წერილი. ასევე, იკრძალებოდა იმ ქვეყანაზე თავისუფალი საუბრები, რომელთანაც საბჭოთა სახელმწიფოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მაგალითად, თუ ირანთან იყო კარგად, ირანზე ცუდი არ უნდა დაგეწერა. დედამ სწორედ ამის გათვალისწინებით თქვა ერთხელ უარი შეთავაზებულ სატელევიზიო გადაცემაში ლექციის წაკითხვაზე, რადგან წინასწარ გააფრთხილეს, რომ ირანსა და თურქეთზე ცუდი არ უნდა ეთქვა. დედასგან მახსოვს მაშინდელი გაცხარება — მთელი ცხოვრება მაგათ ვებრძოდით დამოუკიდებლობისთვის და ეგ თუ არ ვთქვი, რაღა ისტორიაზე საუბარი გამოვაო. არ შეიძლებოდა ცუდი გეთქვა მეზობელ სახელმწიფოებზეც და ამ თვალსაზრისითაც სულ ,,ჭიდაობა" იყო. მახსოვს, როდესაც დედა, რომელიც 2-ჯერ გააგზავნა ნიკო ბერძენიშვილმა მოსკოვში, დაესწრო სხდომას, სადაც საქართველოს ისტორიის კათედრისა და სახელმძღვანელოების საერთოდ გაუქმების საკითხს განიხილავდნენ. რამდენადაც ვიცი, დიდი მხარდაჭერა გამოგვიცხადეს მაშინ სომხებმა, ბალტიისპირელებმა, შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა მიუხედავად იმისა, რომ



გიორგი ოთხმეზური

ყოველთვის ნაკლებად ერეოდნენ მსგავს განხილვებში.

ასევე, გადმოცემით ვიცი, რომ როდესაც უნივერსიტეტში რუსული სწავლების შემოღება უნდოდათ, აღმოსავლეთმცოდნეობის ერთადერთი პედაგოგი დაითანხმეს, რომ საგანი რუსულად წაეკითხა და როცა მან აუდიტორიის წინაშე რუსულად დაიწყო ლექციის კითხვა, მთელი კურსი ადგა და გარეთ გამოვიდა. ასე რომ, ვერ მოახერხეს ამ პოლიტიკის გატარებაც. გეტყვით იმასაც, რომ როდესაც აფხაზეთის ისტორია იწერებოდა, სულ ჭიდაობითა და ომით არის გატანილი რეალური ფაქტების აღწერის პრინციპი.

— დავუბრუნდეთ თანამედროვე უნივერსიტეტის პრობლემას. რამდენიმე წლის წინ ძალიან ბევრი პროფესორი წავიდა უნივერსიტეტიდან – ზოგიერთი ნებით, ზოგი პროტესტის ნიშნად, ზოგი კი დევნის საფუძველზე. მახსოვს, მაშინ, თქვენ მოუწოდებდით კოლეგებს, რომ გამოცხადებულ კონკურსში მაინც მიეღოთ მონაწილეობა, თუმცა უმრავლესობამ ეს აზრი არ გაიზიარა. როგორ გაიხსენებდით იმ პერიოდს?

— ეს იყო კიდევ ერთი საშინელება, რაც თავს დაატყდა უნივერსიტეტს. ალბათ, ახსოვს საზოგადოებას, დღე და ღამე როგორ ლანძღავდნენ უნივერსიტეტს. იმ პერიოდში სწორედ ამ საქმით იყო დაკავებული განათლების სამინისტროდან მოყოლებული ყველა, მათ შორის, ,,კმარელებიც", რომლებიც უნივერსიტეტში გამეფებულ კორუფციასა და მექრთამეობას ებრძოდნენ. მაშინ, კორუფცია ცხოვრების წესი იყო ქვეყანაში და, სამწუხაროდ, უნივერსიტეტიც ვერ გადაურჩა ამ ტალღას. რა თქმა უნდა, იყვნენ ვიღაცები, ერთეულები, ვინც ამას კადრულობდა, მაგრამ ყველას ერთ ,,ქვაბში" მოხარშვა არ შეიძლება. თავი შემიძლია დავდო იმაზე, რომ არც ისტორიის ფაკულტეტზე, არც ფილოლოგიის და არც გეოგრაფიის ფაკულტეტებზე მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტი კორუფციული გარიგებანი იყო სხვაგან, მაგრამ სხვა უმაღლესი არავის უხსენებია. ვთვლი, რომ უნივერსიტეტის წინააღმდეგ მაშინ აგორებული კამპანია უნივერსიტეტის წელში გატეხვას ემსახურებოდა, რათა შემდეგ გაეტარებინათ ის ღონისძიებები, რაც გატარდა. ,,კმარა" რომ შემოგივარდება უნივერსიტეტში, რაღაზე უნდა ილაპარაკო?! გახსოვთ ალბათ, როდესაც რექტორის, ბატონი როინ მეტრეველის გადადგომის საკითხი დადგა, მთელი უნივერსიტეტი რექტორის პოსტის დასაცავად გამოვიდა და არა პიროვნების მხარდასაჭერად. ჩვენ გვინდოდა იმის დაფიქსირება, რომ არავის აქვს უფლება, რომ შემოვარდეს უნივერსიტეტში და მოითხოვოს რექტორის გადაყენება თუ დატოვება. უნივერსიტეტის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას, გახსოვთ ალბათ, შემდეგ მოჰყვა სამუშაო ადგილების შემცირება. მაშინ ვიყავი ლაბორატორიის გამგე და როდესაც სამეცნიერო ლაბორატორიების დახურვის პარალელურად, პირველ ეტაპზე, 800 კაცი გაუშვეს, განათლების სამინისტროს წარმომადგენელს კითხვით მივმართე, რა პასუხი გამეცა ჩემი თანამშრომლებისთვის? სალაროსთან რომ მივლენ და ხელფასს ვერ აიღებენ, მიხვდებიან, რომ გაშვებულნი არიანო — ასეთი მითითებით გამომისტუმრეს სამინისტროდან. ეს იყო ის დამოკიდებულება, რაც მაშინ უნივერსიტეტის თანამშრომლების მიმართ არსებობდა. 2006 წელს ჩატარებული კონკურსების შედეგად კი უამრავი ღირსეული პროფესორი უნივერსიტეტის კარს მიღმა აღმოჩნდა. უნივერსიტეტიდან ისეთი ხალხი გაუშვეს, როგორიცაა ნათელა ვაჩნაძე და სხვანი... ასეთი ვითარების გამო, ბევრმა უარიც კი თქვა კონკურსებში მონაწილეობაზე. ე.წ. მეამბოხე პროფესორებს მე ვთხოვდი, მაინც შემოეტანათ საბუთები და გაევლოთ კონკურსი, რადგან რაც უფრო მეტი ადამიანი იტყოდა უარს, მით უფრო იოლად ჩაატარებდნენ ამ უსახურ კონკურსს.

— მათი პროტესტით, მოგეხსენებათ, რომ ბევრმა იხეირა და მოხვდა უნივერსიტეტში...

— რა თქმა უნდა... მე მათ ამასთან დაკავშირებითაც ვაფრთხილებდი და ვეუბნებოდი — ნუ ჩაუგდებთ ხელში შემთხვევით და გარედან მოსულ ხალხს უნივერსიტეტს. საბოლოოდ მაინც ასე გამოვიდა. მაგალითად, შეიძლებოდა გივი ჯამბურიას გაშვება? მაშინ იგი 70 წელს იყო გადაცილებული (ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა), მაგრამ მას რომც ეთქვა — არ შემიძლია ლექციების წაკითხვა, ჩვენ პირიქით უნდა გვეთხოვა: მობრძანდით და ერთი სპეც-კურსი მაინც წაიკითხეთ. ასევე, გაუმართლებელი იყო ნათელა ვაჩნაძის, ერეკლე ჟორდანიას და სხვათა გაშვებაც.

— ეს ტენდენცია, თქვენი აზრით, რამდენად გრძელდება დღეს უნივერსიტეტში?

— დღეს, მაგალითად, მესმის იმ სტუდენტების, რომლებიც აპროტესტებენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის მოყვანას. არ შეიძლება, დეკანი მათთან ერთად იყოს დოქტორანტი. რაღაც ზვარი ხომ უნდა არსებობდეს სტუდენტსა და დეკანს შორის?

ვთვლი, რომ დიდი შეცდომაა ისიც, რომ ფაკულტეტები არის გაერთიანებული. არაფერი საერთო აქვს, მაგალითად, უცხო ენებს და ისტორიას. საზღვარგარეთ ყველა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში ისტორიის ფაკულტეტი, როგორც დამოუკიდებელი ფაკულტეტი, ისე არსებობს.

— ხელისუფლების ცვლილების პირობებში, თქვენი აზრით, რა შეიცვლება უნივერსიტეტში? თქვენ ახსენეთ, რომ არ გსურდათ ,,კმარას" მიერ რექტორის გადაყენება... დღესაც დასაცავია თუ არა რექტორის პოსტი?

— რექტორის პოსტზე ვინმეს ყოფნა-არყოფნის საკითხი ყოველთვის უნივერსიტეტმა უნდა გადაწყვიტოს. დღევანდელ რექტორს კი ბევრი რამის შეცვლის ნება უნდა ჰქონდეს. მაგალითად, სტუდენტებს ძალიან სწორი მოთხოვნები ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, რომ არ შეიძლება რეგენტთა საბჭო მინისტრის მოადგილეებით იყოს დაკომპლექტებული, რომელიც უნივერსიტეტის ქონებას განკარგავს. უნივერსიტეტს რეალური ავტონომია უნდა ჰქონდეს! და რაც მთავარია, თაობათა ცვლა თანდათანობით უნდა მოხდეს. არ შეიძლება უფროსი თაობის ახალგაზრდებით ჩანაცვლება. გამოცდილებას დრო სჭირდება, რასაც ვერაფერი შეცვლის, რაც უნდა ნიჭიერი, ჭკვიანი და შრომისმოყვარე ადამიანი მოიყვანო.

ბატონ სანდრო კვიტაშვილს ერთი დიდი პლუსი აქვს — მან ადამიანებთან ურთიერთობა იცის. მართალია, იგი ყოფილი ხელისუფლების დროინდელი რეჟიმის პირობებშია არჩეული, მაგრამ ვადის გასვლამდე უკვე ახალ რეალობაში ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. მხოლოდ მას შეუძლია, სტუდენტების მოთხოვნები ყურად იღოს და უკეთესობისკენ წაიყვანოს საქმე. ამჟამად განათლების სამინისტროსგან წნეხი არ არსებობს, რაც იმედის მომცემია.

— აკადემიური რეგისტრაციისას საგნებისა და ლექტორების არჩევის დროს, ზოგიერთმა სტუდენტმა მკაცრ ლექტორად მოგიხსენიათ, რის გამოც ისინი თქვენი ლექციების არჩევაზე ჭოჭმანობდნენ. მათ თქვეს, რომ თქვენ ძნელად წერთ ნიშანს. რამდენად შეესაბამება სტუდენტების ეს შთაბეჭდილება რეალობას?

— ძნელად ნიშანს ნამდვილად არ ვწერ, თუმცა სტუდენტის გამოკითხვის მომხრე ვარ. გამოცდების ის სისტემა, რაც დღეს არის, არ მომწონს, რადგან ვთვლი, რომ წერით გამოკითხვას სტუდენტებთან საუბარი და პირდაპირი კონტაქტი სჯობს. ჩემთვის ისიც შეურაცხმყოფელია, რომ გამოცდების ცენტრიდან მომდის სტუდენტის დაშიფრული ნაწერი. ზოგს წერის დროს მექანიკური შეცდომების გამო შეიძლება ნიშანი დააკლდეს, ზეპირი გადმოცემის დროს კი სტუდენტის აზროვნებას და ცოდნას უწერ ნიშანს, რაც, ჩემი აზრით, ობიექტურობის მეტად გამოვლენის საშუალებას გაძლევს.

— ანუ მკაცრი ხართ თუ არა?

— ისე რა, ზომიერად... (იცინის...)

ეკონომიკის ინსტიტუტში

პრაქტიკა კლაუს ჰიპის საწარმოში

უკვე მესამე წელია, რაც გერმანელი მეწარმე და საქართველოს დიდი მეგობარი, თსუ-ის საპატიო დოქტორი, ბავშვთა კვების მსოფლიოში ცნობილი ბრენდის „HIPP“ მფლობელი, მეცნიერებათა დოქტორი კლაუს ჰიპი ატარებს ტრადიციულ გერმანულენოვან საჯარო ლექციებს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის „ბიზნესის ეთიკის“ მიმართულებით.

ტრადიციისამებრ, ბატონი ჰიპი საზაფხულო არდადეგების დროს შეარჩევს რამდენიმე სტუდენტს და თავისი ხარჯებით მიიწვევს მათ გერმანიაში, საკუთარ საწარმოში პრაქტიკის გასავლელად.

მოულოდნელი, მაგრამ სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა თითოეული ჩვენგანისთვის მოწვევა გერმანიიდან. ცოტა არ იყოს სკეპტიკურად განწყობილნი, საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ჩვენს ცდას, ვყოფილიყავით პირველები ჯანსაღ კონკურენციაში, უკვალოდ არ ჩაუვლია.

ბატონი კლაუს ჰიპი, გერმანელი მეწარმე, საქართველოს საპატიო კონსული მიუნხენში, უკვე რამოდენიმე წელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატარებს ლექციებს, რომელიც უშუალო კავშირშია ბიზნეს-ეკონომიკასთან. აღნიშნული ლექციების საფუძველზე სტუდენტები ასრულებენ დავალებებს და მათგან საუკეთესო ნაშრომის შემსრულებელნი მიემგზავრებიან ერთ თვიან პრაქტიკაზე გერმანიაში, საერთაშორისო კომპანია HIPP-ში, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ბაიერნის მიწაზე, ქალაქ პფაფენჰოფენში.

გაზაფხულის სემესტრში ბატონმა ჰიპმა აღნიშნული დავალების საფუძველზე აგვარჩია 3 სტუდენტი: თამთა კვასხვაძე, ნათია კაპანაძე და ირაკლი უშვერიძე. სექტემბრის პირველ რიცხვებში გერმანიაში გავემგზავრეთ, სადაც ვიმყოფებოდით ოქტომბრის დასაწყისამდე. ჩასვლისთანავე გაგვანაწილეს ჩვენთვის სასურველ განყოფილებებში. კერძოდ, ნათიამ – მენეჯმენტი და მდგრადი განვითარების მიმართულება აირჩია, თამთამ – ლოჯისტიკა, ხოლო ირაკლიმ – სტრატეგიული გაყიდვები. საწარმოო პროცესი არც ისე მარტივი, თუმცა შემოქმედებითად საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა. სასიამოვნო ატმოსფეროს კვალიფიციურ თანამშრომლებთან ერთად მაღალი კორპორაციული კულტურაც ქმნიდა.

ჩვენი სამუშაო დილა 8:00 საათზე იწყებოდა და 16:00 საათამდე გრძელდებოდა. მთელი სამუშაო პერიოდი საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი იყო. ვასრულებდით სხვადასხვა დავალებებს, გვასწავლიდნენ საწარმოში მუშაობის სპეციფიკას. თანამშრომლებიც გულისხმიერი და თავაზიანები აღმოჩნდნენ, მათთან მუშაობა სახალისო და საინტერესო იყო, ისინი მუდამ მზად იყვნენ გაეწიათ დახმარება.

თავისუფალი დროც ბევრი გვრჩებოდა. სექტემბერი ბავარიაში ძალიან ლამაზია. თითქმის მთელი თვის განმავლობაში საღამოობით იმართებოდა კონცერტები. რა თქმა უნდა, უხვად იყო გერმანული ლუდი, ბავარიული ტრადიციული კერძები და ტკბილეულობა. არც გასართობი ატრაქციონები აკლდა იქაურობას და მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი იყო სადღესასწაულო განწყობისათვის და იმისათვის, რომ თავი ზღაპრულ სამყაროში გვეგრძნო. უაღრესად შთამბეჭდავი იყო ისიც, რომ ყველა გერმანელი დადიოდა თავიანთი ტრადიციული, ეროვნული სამოსით. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ სექტემბრის შუა რიცხვებში დაიწყო მთელი მსოფლიოსთვის საყვარელი „ოქტობერფესტი“, უზღვავი ხალხი ჩამოვიდა მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდანაც.

ეს ერთი თვე ჩვენთვის მართლაც დაუვიწყარი იყო, მივიღეთ უდიდესი გამოცდილება, როგორც მუშაობის, ისე ენის შესწავლის მხრივაც, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ბატონ კლაუს ჰიპს.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებო, ვინც გერმანული ენა იცით, მოგიწოდებთ, რომ იაროთ ბატონი ჰიპის ლექციებზე, რადგან გარდა იმისა, რომ გაქვთ შანსი გაემგზავროთ ერთი თვით გერმანიაში, ასევე, შეგიძლიათ აიმაღლოთ ცოდნა ბიზნეს ეთიკაზე, მოუსმინოთ გერმანულენოვან ლექციებს და უბრალოდ გაიცნოთ უაღრესად კეთილშობილი ადამიანი კლაუს ჰიპი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-III კურსის სტუდენტები:
თამთა კვასხვაძე,
ნათია კაპანაძე,
ირაკლი უშვერიძე

ორმაგი ხარისხის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პარტნიორული ურთიერთობა, რომელიც მალე 50 წლის იუბილეს აღნიშნავს, ბოლო ორ წელიწადში განვითარების ახალ, განსაკუთრებულ საფეხურზე ავიდა. 2011 წლის შემოდგომის სემესტრიდან დაფუძნდა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა “Managing International Enterprises”, რომლის კურსდამთავრებულებსაც მიენიჭება ორმაგი ხარისხი: ქართული და გერმანული: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან: Master of Business Administration, MBA, ხოლო იენის უნივერსიტეტის მხრიდან: Master of Science, M.Sc.

მსურველი რომ მოხვდეს აღნიშნულ პროგრამაზე, მას უკვე უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაიაროს ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები და გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (მინიმუმ -2 დონე) ან წარმატებით ჩააბაროს შესაბამისი გამოცდა და გაიაროს ტესტირება და გასაუბრება ეკონომიკის პრინციპებში და ბიზნესის საფუძვლებში.

პროგრამის ძირითადი ნაწილის დაფინანსება ხდება გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით. მართალია, სტუდენტებისათვის სწავლება ფასიანია და შეადგენს 1500 ევროს სემესტრში, მაგრამ მათთვის გამოყოფილია სტიპენდიები და დაფინანსების სხვა საშუალებები, სწავლაში გამოჩენილი წარმატებების მიხედვით.

მაგისტრატურაში სტუდენტები ეუფლებიან ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, ეკონომიკური ინფორმატიკის, ინტერკულტურული ეკონომიკური კომუნიკაციის თეორიებს, ასევე, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

პროგრამა ორწლიანია. სწავლების პირველ წელს სტუდენტებს ლექცია-სემინარები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე უტარდებათ. თითოეულ საგანში მოწვეულნი არიან როგორც ქართველი, ისე გერმანელი პროფესორები, რომლებიც საგანს უძღვებიან ე.წ. გუნდური სწავლების (Team Teaching) პრინციპით. ამ მიზნით, იენელი პროფესორები პერიოდულად ჩამოდიან საქართველოში, მაგრამ სტუდენტებთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნებისთვის ასევე იყენებენ ე.წ. დისტანციური ანუ ელექტრონული სწავლების ფორმას (E-Learning). სწავლების მეორე წელს სტუდენტები მიემგზავრებიან გერმანიაში - იენის უნივერსიტეტში, სადაც თეორიულ მომზადებასთან ერთად, სასწავლო პრაქტიკას გაივლიან.

ლექცია-სემინარების უმრავლესობა ტარდება ინგლისურ ენაზე. სწავლების პირველ წელს სტუდენტები სავალდებულო სახით შეისწავლიან გერმანულ ენას.

აღნიშნული პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს რეალურ შანსს დასაქმდეს საქართველოს, გერმანიის თუ ევროპის წამყვან საწარმოებში და მსოფლიო მასშტაბის ტრანსნაციონალურ კომპანიებში. მას ასევე შეუძლია აირჩიოს მეცნიერული კარიერა და განავითაროს იგი.

თუ მაგისტრანტთა პირველი ნაკადი, 2011-2012 სასწავლო წელს მხოლოდ 10 სტუდენტისგან შედგებოდა, მეორე ნაკადზე, ანუ 2012-2013 წელს უკვე 22 საუკეთესო ახალგაზრდა შეირჩა. პირველი სასწავლო წელი 10-მა სტუდენტმა წარჩინებით განვლო და ისინი სწავლას უკვე იენაში აგრძელებენ.

სოფიკო ჯვარშეიშვილი,
ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მენეჯერი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის CEEMAN-ის წევრი გახდა

CEEMAN მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ასოციაციაა, რომელიც 1993 წელს დაარსდა. მისი მიზანია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მართვის ხარისხის ზრდის დაჩქარება და განვითარება. იგი არის მენეჯმენტის განვითარების გლობალური ქსელი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მენეჯმენტის სფეროში მოღვაწე, განათლების მაღალი ხარისხით და ინოვაციებით დაინტერესებული ორგანიზაციები. წელს, სექტემბრიდან, ასოციაციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიც შეუერთდა.

CEEMAN წევრები ყოველწლიურად იკრიბებიან, რათა ურთიერთობები გააღრმავონ და ერთმანეთის გამოცდილება გაიზიარონ. წელს ასეთი შეკრება ქალაქ კეიპტაუნში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართა. სადაც, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, მასში მონაწილეობა მიიღო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა აკაკი ხელაძემ, რომელსაც ასოციაციის პრეზიდენტმა პროფესორ დანიცა პურგმა საზეიმო ვითარებაში წევრობის მოწმობა გადასცა.

CEEMAN დღეისათვის აერთიანებს 200-ზე მეტ ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ წევრს ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის და აზიის 50 ქვეყანაში. იგი ხარისხის მიმნიჭებელი ორგანიზაციაა და მისი წევრობა მნიშვნელოვან საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მომავალში აქტიურად გააგრძელებს, როგორც ასოციაციის ხელმძღვანელ რგოლებთან, ისე მის ცალკეულ წევრებთან ინდივიდუალურ რეჟიმში ორმხივად სასარგებლო თანამშრომლობას, მენეჯმენტის სწავლების ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესების მიზნით.

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

დოკუმენტური განძის დარაჯად

9 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გურამ შარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. დამსწრე საზოგადოებამ დაათვალიერა თსუ-ის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, შემდეგ გაიმართა გურამ შარაძისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“ ჩვენება. ფილმის ავტორია გურამ შარაძის ვაჟი — გიორგი შარაძე.

თამარ დადიანი

გურამ შარაძის სახელს უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ემიგრაციის მუზეუმის გახსნა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გურამ შარაძის პირადი ფონდის ბაზაზე შეიქმნა. მუზეუმში თავმოყრილია – 1981 წლიდან მის მიერ მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტიდან ჩამოტანილი ემიგრანტული უნიკალური წიგნები, პერიოდული გამოცემები, ემიგრანტთა პირადი არქივები, ფოტო, აუდიო და ვიდეო არქივები.

პროფესორმა გურამ შარაძემ შეაგროვა და შეისწავლა ქართული ემიგრანტული მწერლობა და ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შექმნა სრულიად ახალი დარგი — ქართული ემიგრანტული მწერლობის ისტორია. მან დიდი ამაგი დასდო აგრეთვე საზღვარგარეთ გაფანტული ძველი ქართული ხელნაწერებისა თუ არქივების მოძიებისა და სამშობლოში ჩამოტანის საქმეს.

ხსოვნის საღამოზე მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი უნიკალური ფოტომასალა, რომელიც გურამ შარაძის სამეცნიერო მოღვაწეობას, მის გარდაცვალებასა და დაკრძალვას ასახავდა. ასევე, საზოგადოებამ იხილა გურამ შარაძისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი: „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“, სადაც აღწერილია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) მთავრობის არქივის პარიზული და ჰარვარდული ნაწილის 1996-1997 წლებში საქართველოში დაბრუნების ისტორია, რომელსაც თვით გურამ შარაძე მოგვითხრობს. ფილმი საქართველოს პარლამენტის დაკვეთით სტუდია „აუდიენციამ“ 1998 წელს გადაიღო.

როგორც ქართული ემიგრაციის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა რუსუდან კობახიძემ აღნიშნა: „ბატონი გურამი 1981 წლიდან იკვლევდა ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას და მოღვაწეობას უცხოეთში. ქართული ემიგრაციის მუზეუმი მთლიანად არის დაფუძნებული მის კერძო კოლექციაზე. გარდა ამისა, მას მინდობილობითა და ნოტარიული დამოწმებით გადაეცა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის პარიზული და ჰარვარდული ნაწილი, ასევე, ქართველი ემიგრანტების პირადი არქივები, რომელიც მისი ხელმძღვანელობით საქართველოს დაუბრუნდა. ამ ფაქტს ბატონმა გურამმა მიუძღვნა წიგნი „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“, სადაც დეტალურადაა მოთხრობილი არქივის საქართველოდან გატანისა და დაბრუნების ისტორია“.

„ბატონი გურამი გახდა ქართული ემიგრაციის მეცნიერულად შესწავლის ფუძემდებელი და ვინც დღეს რამეს ვაკეთებთ ამ დარგში, ეს მთლიანად მისი დამსახურებაა. თუ ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოში ერის მატერიალური განძი ჩამოიტანა, სულიერი, დოკუმენტური განძი გურამ შარაძემ ჰარვარდიდან და ლევილიდან დაუბრუნა საქართველოს. ეს დიდი და განუზომელი მემკვიდრეობაა და უნდა მოხდეს მისი სწრაფად შერწყმა ქართულ კულტურასთან. ხსოვნის საღამო კიდევ ერთხელ გაახსენებს საზოგადოებას ბატონი გურამის ფასდაუდებელ ღვაწლს და ასევე იმ საშინელებას, რაც მას და მის ოჯახს დაატყდა თავს“, — განაცხადა პროფესორმა რუსუდან დაუშვილმა.

ფილმის დასრულების შემდეგ გურამ შარაძის ქალიშვილმა რუსუდანმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას მობრძანებისთვის და განაცხადა, რომ მოითხოვს მამის

თამაზ ბაძაღუას „100 ლექსი“

7 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თამაზ ბაძაღუას ლექსების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. კრებული „100 ლექსი“ გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა. ამავე დღეს თსუ-ის ბიბლიოთეკასთან ფუნქციონირება დაიწყო კლუბმა „93-ე აუდიტორიამ“, რომლის მიზანია მივიწყებული ტრადიციების აღდგენა — უნივერსიტეტელი მწერლების, პოეტების, ლიტერატორების შემოქმედებითი საღამოების გამართვა, ასევე, თაობებს შორის დიალოგის ხელშეწყობა.

თამარ დადიანი

„ძველი ბერძნები ამბობდნენ — „ახალგაზრდის სიკვდილი იგივეა, რომ წელიწადის დროებიდან გაზაფხული ამოიღო“. არ შეიძლება ეს სიტყვები არ გაგახსენდეს, როცა თამაზ ბაძაღუას პოეზიას ეცნობი — პოეტი მთელი არსებით გაზაფხულის ძალასა და სითბოს ასხივებდა...

თითქმის 25 წელმა გაიარა ამ ტრაგედიის შემდეგ, ის ტკივილი კი არ განელებულა. ყველა მწერლობას აქვს მოუშუშებელი ჭრილობები".. — ეს სიტყვები თამაზ ჭილაძეს ეკუთვნის, რომელიც თამაზ ბაძაღუას ლექსების კრებულს ახლავს.

„100 ლექსი“ შეადგინა ლიტერატურათმცოდნემ, კრიტიკოსმა ივანე ამირხანაშვილმა, რომელმაც აღნიშნა: „თამაზ ბაძაღუას შემოქმედების აღიარებას ხელი შეუწყო მისმა აზროვნების გამორჩეულმა მანერამ. მისი სახელის უკვდავსაყოფად ბევრი რამ გააკეთეს მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა: თამაზის ბიძაშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა მალხაზ ბაძაღუამ, მწერლებმა დავით მჭედლურმა, როსტომ ჩხეიძემ, თამაზ ვასაძემ, ანდრო ბუაჩიძემ, ირაკლი სამსონაძემ და სხვებმა“. მან მადლობა გადაუხადა თამაზის სტუდენტობის დროინდელ მეგობრებს — ტრისტან მახაურსა და ამირან ღოღაძეს („მუხას“), რომლებმაც პოეტის დაკარგულად ჩათვლილი სამი ლექსი: „დაბადებამდე ქარებს ვეახლებით“, „მომწყინდა უკვე“ და „წყვდიადს ეფარა ლურჯი სანთელი“ კრებულის შემდგენლებს მიანოდეს.

„თამაზ ბაძაღუას პოეზია აბსოლუტური ფასეულობების — სრულყოფილი მშვენიერების, სიკეთის, აზრის — მოწყურებული ძიების გამომხატველია. ყველაზე დიდი ფასეულობა კი თამაზ ბაძაღუას ლირიკული გმირისადმი სიყვარულია, რომელშიც ყველა სხვა ფასეულობა მთლიანდება“, — ასე აფასებს მის შემოქმედებას ლიტერატურათმცოდნე თამაზ ვასაძე.

ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაზე, მის პიროვნულ ხიბლსა და ადამიანურ ბუნებაზე ისაუბრეს მწერლებმა, ლიტერატორებმა: როსტომ ჩხეიძემ, ნოდარ გრიგალაშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ, ლევან ბრეგვაძემ, ვანო ამირხანაშვილმა, დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა, ასევე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.

„კრებულის პირველივე ლექსში უცნაური სტრიქონებია: „მე ჯერ მოვკვდები ღმერთების თვალწინ, და მერე ჩემთვის — ჩუმად და მარტო“ —ეს დიდი პოეტის მიერ დაწერილი სტრიქონებია. ხშირად ვიხსენებ ერთ ნაცნობ ფრაზას: იცით, კარგი ლექსი რომელია? რომ წაიკითხავ და გულში რაღაცა ჩამორეკავს. რატომ მე ვერ მოვიფიქრე და რატომ მე არ დავწერე, ეს ხომ ძალიან ჩემეულია... აი, ეს აზრი გამიჩნდა ამ სტრიქონების წაკითხვისას, — განაცხადა პოეტმა ტარიელ ჭანტურიამ.

პრეზენტაციაზე თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმოადგინა პროექტი — „93-ე აუდიტორია“.

„93-ე აუდიტორია“ — შესაძლოა ეს სახელწოდება ახალგაზრდებს ბევრს არაფერს ეუბნება, თუმცა აქ დამსწრე საზოგადოების დიდ ნაწილის კარგად ემახსოვრება 93-ე აუდიტორია, სადაც გასული საუკუნის 60იან, 80-იან, 90-იან წლებში არაერთი მნიშვნელოვანი სტუდენტური ღონისძიება იმართებოდა. ამ აუდიტორიაში ყოველ სამშაბათს ტარდებოდა ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომები. სტუდენტები საკუთარ შემოქმედებას პირველად სწორედ აქ აცნობდნენ საზოგადოებას, მეგობრებს. იყო განხილვები, კამათი და ახალგაზრდული რომანტიკა.... სამწუხაროდ, ეს ტრადიცია შემდგომ წლებში მოიშალა, მაგრამ ახალგაზრდა მწერალთა წრემ და ჟურნალმა „პირველმა სხივმა“ ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურას ძალიან საინტერესო სახელები და შემოქმედება შემოუნახა. თსუ-ის ბიბლიოთეკის ერთერთი პროექტია ამ აუდიტორიის აღდგენა. პროექტის ფარგლებში გადაწყვეტილი გვაქვს მოვიწვიოთ ის მწერლები, პოეტები, ლიტერატორები, რომლებიც პირველ ნაწარმოებებს სწორედ აქ, ამ აუდიტორიაში კითხულობდნენ. ჩვენი უპირველესი მიზანია დღევანდელ უნივერსიტეტელებს მივცეთ წიგნთან ზიარების შესაძლებლობა. შემთხვევითი არ არის, რომ პროექტის ფარგლებში პირველი ღონისძიება თამაზ ბაძაღუას ლექსების კრებულის პრეზენტაციას მივიძღვენით, იგი ხომ ამ აუდიტორიის აქტიური წევრი გახლდათ“, — განაცხადა ზურაბ გაიპარაშვილმა.

პროექტის შესახებ ისაუბრა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ: „93-ე აუდიტორიაში. ძირითადად, სტუდენტები იკრიბებოდნენ. მახსოვს გადაჭედილი აუდიტორია, ეს ადგილი ყველაზე ცოცხალი იყო უნივერსიტეტში, აქ უამრავი აზრი, იდეა იბადებოდა. სწორედ ამ აუდიტორიაში კითხულობდნენ პირველად თავიანთ შემოქმედებას დღეს უკვე საზოგადოებისთვის ცნობილი პოეტები და მწერალები. სიმბოლურია, რომ თამაზ ბაძაღუამ თავისი ლექსები პირველად აქ წაიკითხა“.

წიგნის თარო

ზაფხულის ღამის სიზმარი

თეატრმცოდნე მანანა ტურიაშვილის წიგნის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ (რეპეტიციები) პრეზენტაცია კინომსახიობთა თეატრში გაიმართა, სადაც თავი მოიყარეს მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეებმა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა. მსახიობებმა გაიხსენეს მიხეილ თუმანიშვილის რეპეტიციები და ის დრო, როდესაც გაუსაძლის პირობებში, რეჟისორი ამ სპექტაკლზე მუშაობდა.

შურთხია ბერეშვილი

„ზაფხულის ღამის სიზმარი“ — შექსპირის პიესის სცენაზე განხორციელება მიხეილ თუმანიშვილმა სწორედ მაშინ გადაწყვიტა, როდესაც ქვეყანაში არც ზაფხული იყო და არც სიზმრებისთვის ეცალა ვინმეს. 1989 წლის ზამთარში, როდესაც გარეთ ტყვიების ზუზუნი ისმოდა, კინომსახიობთა თეატრში მსახიობები ფეხით მოდიოდნენ და გაყინულ სცენაზე თამაშობდნენ ჰერმიას, ელენეს, ფერიებს... დიდი მაესტრო შეუვალი იყო და არც ერთ არგუმენტს არ ისმენდა: — ადრე თუ გვიან, ეს უბედურება დამთავრდება, ადამიანები შემოვლენ თეატრში, რადგან მოენატრებათ სულიერება და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამისთვის“, — ასე ამხნევებდა მსახიობებს.

რეპეტიციების დროს მისი სახელოსნო ყოველთვის დაკეტილი იყო და იქ მსახიობების გარდა არავის უშვებდნენ, თუმცა, გამონაკლისი რეჟისორმა მაინც დაუშვა თეატრზე უზომოდ შეყვარებული სტუდენტისთვის, მანანა ტურიაშვილისთვის. მან რეჟისორის თხოვნით, „ზაფხულის ღამის სიზმრების“ სპექტაკლის რეპეტიციები დიქტოფონზე ჩაწერა. ჩანაწერი 22 წელი იდო თაროზე, ვინაიდან მიხეილ თუმანიშვილის სურვილი, მისი რეპეტიციები წიგნად გამოცემულიყო, გვიან ასრულდა.

კინომსახიობთა თეატრის დირექტორმა ზურაბ გეწაძემ წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიხეილ თუმანიშვილის რეპეტიციების გაცნობა საინტერესო იქნება ახალგაზრდა რეჟისორებისა და მსახიობებისთვის.

„მიხეილ თუმანიშვილზე დაწერილ წიგნებს კიდევ ერთი შესანიშნავი წიგნი შეემატა. ყველას კარგად გვახსოვს რა პერიოდი იყო — ომი, შიში, განუკითხაობა, არ იყო შუქი, ტრანსპორტი, მიუხედავად ამისა, იგი ჯიუტად მუშაობდა. იმ რეპეტიციებმა ჩვენ გადაგვატანინა ის ცუდი დრო. ეს ჩანაწერები კიდევ ერთხელ დააფიქრებს ყველას, თუ როგორი უნდა იყოს თეატრში ნამდვილი რეპეტიცია, როგორ უნდა გამოძერწოს რეჟისორმა პერსონაჟები“, — აღნიშნა ზურაბ გეწაძემ.

თავისი შთაბეჭდილება დამსწრე საზოგადოებას თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელმა მანანა ანთაძემაც გაუზიარა. „ეს წიგნი არის ძეგლი მიხეილ თუმანიშვილისა, რადგან მისი წაკითხვის შემდეგ შეგვიძლია რეალურად დავინახოთ მისი პიროვნება. მეც მინდა ის დრო გავიხსენო, როდესაც რეპეტიციები დაიწყო. ბატონმა მიშამ მსახიობებს დაურეკა და უთხრა: „კედელ-კედელ წამოდით და როგორმე თეატრში მოდით“. როდესაც შევიკრიბეთ, ბატონმა მიშამ საზეიმოდ გამოგვიცხადა: „სპექტაკლი უნდა დავდგათ“. მაშინ ეს კოსმოსში გაფრენის ტოლფასი იყო, ალბათ ეს გახლდათ უკიდურესი მძიმე მდგომარეობის დროს განცდილი ზღაპარი. გავიდა დრო და სწორედ ამ სპექტაკლმა მოუტანა თეატრს მისი ყველაზე დიდი წარმატება მსოფლიო ასპარეზზე — ლონდონში შექსპირის მსოფლიო ფესტივალზე წლის საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს. პრინცმა ჩარლზმა წერილიც მოსწერა ჩვენს მაშინდელ მთავრობას.

მადლობა გვინდა ვუთხრათ მანანა ტურიაშვილს ამ წიგნის დაწერისთვის, რადგან მან ჩვენთან ერთად გაუძლო იმ სირთულეებს, იგი საშინელ სიცივეში, პალტოში და ხელთათმანებით იჯდა და იწერდა რეპეტიციებს. ეს სპექტაკლი განსაკუთრებით უყვარდა მიხეილ თუმანიშვილს, რადგან ეს არის პიესა სიყვარულზე, რომელიც ასე გვჭირდება დღესაც“, — განაცხადა მანანა ანთაძემ.

ემოციების გარეშე ვერ გაიხსენა იმდროინდელი რეპეტიციები მსახიობმა ნინელი ჭანკვეტაძემაც. „ეს წიგნი ინახავს იმ დღეების ძვირფას მოგონებებს: ძალიან რთულ პირობებში ვმუშაობდით. ჩვენ ხანდახან ვაპროტესტებდით და ვამბობდით: ვის რაში სჭირდება ეს ზღაპარი, როცა გარეთ ასეთი არეულობაა და ქვეყანა ინგრევა, ის კი გვპასუხობდა: - თქვენ მხოლოდ ეს საქმე იცით და ეს შეგიძლიათ გააკეთოთ სხვებისთვის. მართლაც ასე იყო. ადამიანები მოდიოდნენ, ჩვენ ვრთავდით გენერატორს და თხელ კოსტიუმებში გამოწყობილები კულისებში ვკანკალებდით, სცენაზე კი სიცივის შეგრძნება სადღაც ქრებოდა, მაყურებელიც ბედნიერი იყო, ხოლო ბატონი მიშა სასწაულების მომხდენ ჯადოქარს ჰგავდა. მიუხედავად იმისა, რომ მანანას წიგნის პრეზენტაციაა, ეს მიხეილ თუმანიშვილის დღეა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რამდენად დიდი ოსტატი იყო ბატონი მიშა. ბევრი წიგნი იწერება მასზე, მაგრამ ამ ჩანაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“, — განაცხადა ნინელი ჭანკვეტაძემ.

წიგნის ავტორმა მანანა ტურიაშვილმა კინომსახიობთა თეატრში შეკრებილ საზოგადოებას „გაუმხილა“ რომ დიდი ხანია ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც წიგნის გამოცემის დღე ზეიმად გადაიქცეოდა და მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნას ამგვარად მიაგებდა პატივს. „თეატრი ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ აღმოჩენა იყო მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლები. არ გამომიტოვებია არც ერთი სპექტაკლი, სადიპლომო თემაც თუმანიშვილზე დავწერე. ალბათ, ბატონი მიშა ამჩნევდა ჩემს ამგვარ გატაცებას და რეპეტიციების ჩაწერის უფლება ამიტომ მომცა, თან მარიგებდა — ამ ყველაფერს შემოქმედებითად შეხედე. ყოველდღე ვიწერდი რეპეტიციებს და ფირებს თაროზე ვალაგებდი, შემდეგ ამ რეპეტიციის ტექსტურ ვერსიას ვაკეთებდი. მახსოვს, მაშინ დათო საყვარელიძემ მკითხა, საიდან შოულობ კასეტებსო. ვუპასუხე, ყოველ საღამოს კარდაკარ დავდივარ და ვაგროვებ. მეორე დღეს დათომ კასეტები მომიტანა.

წიგნს თან ახლავს აუდიო მასალა, ვინც მოისმენს, მას შეუძლია იდენტურად გაჰყვეს ტექსტს. ეს აუცილებლობას შეადგენდა, რადგან საქმე გვაქვს უდიდეს რეჟისორთან. მიხეილ თუმანიშვილისთვის მნიშვნელოვანი იყო რეპეტიციის პროცესი. დღეს ბედნიერი ვარ, რომ მისი სურვილი ავასრულე“, — განაცხადა მანანა ტურიაშვილმა, რომელმაც წიგნის გამოცემისთვის მადლობა გადაუხადა ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და რეჟისორ დათო საყვარელიძეს.

ცხოვრება ტურიზმის მიღმა

შურთხია ბერეშვილი

იტალიის ქალაქ ფლორენციაში, რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სახელწოდებით: „ცხოვრება ტურიზმის გარეშე“, წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ღირსეულად წარდგნენ და გამარჯვებაც მოიპოვეს.

რა იზიდავთ ტურისტებს საქართველოში და რა ტენდენცია შეინიშნება ტურიზმის განვითარების კუთხით? — ერთი შეხედვით პასუხი ამ კითხვაზე მარტივია: ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული წარსული, უნიკალური არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები, სამკურნალო წყლები, მუზეუმები, ეროვნული პარკები და სხვა. ეს ყველაფერი იმის გარანტიას იძლევა, რომ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების რეალური პერსპექტივა არსებობს, ამიტომ მნიშვნელოვანი ყურადღება ჩვენი ბუნებრივი თუ ისტორიული სიმდიდრის პოპულარიზაციასაც ენიჭება.

რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში ახალგაზრდები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მონაწილეობენ. ფონდი თავისი არსებობის 15 წლიანი არსებობის მანძილზე ორიენტირებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე და ასევე, ტურიზმის განვითარებაზე. წელსაც კონფერენციის მიზანი ინტერკულტურული დიალოგი, ეროვნული კულტურული ტრადიციების წარმოჩენა იყო.

ფლორენციაში გამართულ კონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებმა: მერაბ და გიორგი მელაძეებმა, ისტორიის მიმართულების IV კურსის სტუდენტებმა ვლადიმერ კობახიძემ და ივანე ელიკაშვილმა საქართველოს ისტორიული ძეგლების ანალიზი და ფოტო – მასალა წარმოადგინეს.

„კონკურსის ფარგლებში ჩვენ გვევალებოდა 30 ისტორიული ძეგლის დახასიათება სხვადასხვა ასპექტით. ფონდის მიერ გახსნილ საერთაშორისო პორტალზე უნდა აგვეტვირთა ფოტო-მასალა და იმ ადგილების დახასიათება, რომელიც ფოტოზე იყო გამოსახული. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, კიდევ ერთხელ წარმოგვეჩინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი რეგიონია საქართველო და რით შეიძლება დაინტერესდეს უცხოელი აქ ჩამოსვლის შემდეგ, ასევე, უცხოელი ახალგაზრდებისათვის გაგვეცნო ჩვენი ქვეყნის ისტორია და ღირსშესანიშნაობები“, — აღნიშნა მერაბ მელაძემ.

ჩვენი სტუდენტების მიერ წარმოდგენილმა მასალამ კონფერენციის მონაწილეების დიდი მოწონება დაიმსახურა. მასალები გამოქვეყნდა ფონდის მიერ გამოცემულ საერთაშორისო ჟურნალშიც. კონკურსში გამარჯვებულმა სტუდენტები კი ფლორენციაში უფასო ტურით დაჯილდოვდნენ.

„გვიხარია, რომ მცირედი წვლილი შევიტანეთ ჩვენი ქვეყნის ტურიზმის პოპულარიზაციაში და საშუალება მოგვეცა საქართველოს ისტორიული ძეგლები მსოფლიოსთვის გვეჩვენებინა, გვინდა ჩვენი მომდევნო მოგზაურობა დავამთხვიოთ საერთაშორისო კონფერენციას სახელწოდებით — „კავკასიის კულტურულ იდენტობა“, რომელიც თებერვალში ფლორენციაში გაიმართება, და სადაც თითოეული ჩვენგანი მოხსენებით წარსდგება. შევეცდებით, ამ კონფერენციაზეც საინტერესოდ წარმოვადგინოთ ჩვენი ქვეყანა“, — აღნიშნა ივანე ელიკაშვილმა.

თსუ-ის სტუდენტების სამეცნიერო ხელმძღვანელი და რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის ექსპერტთა საბჭოს წევრის ია ხუბაშვილის აზრით, სტუდენტები მართლაც ღირსეულად წარდგნენ კონფერენციაზე და გამარჯვებაც ღირსეულად დაიმსახურეს. „ეს ძალიან დიდი გამარჯვებაა და სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდები ცდილობენ პოპულარიზაცია გაუწიონ საქართველოში ტურიზმის განვითარებას სხვადასხვა ასპექტით. იმედი მაქვს, ასეთივე წარმატებული იქნება მათი საქმიანობა თებერვალში დაგეგმილ კონფერენციაზე. სტუდენტებმა უკვე აირჩიეს თემები და სერიოზულად შეუდგნენ მუშაობას“, — აღნიშნა ია ხუბაშვილმა.

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲰᲘᲙᲐᲜᲘ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

ცოტა ხნის წინ თბილისის მიწამ მიიბარა ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტი გულშემატკივარი და მკვლევარი ჯუმბერ ჭუმბურიძე.

მოწაფენი მას „ნამდვილი ინტელიგენციის უკანასკნელ მოჰიკანს“ უწოდებენ, რადგანაც სწორედ ის პიროვნება იყო, ვისაც ზნეობრივი პრინციპებისთვის არასოდეს უღალატია.

წლების წინ, თავიანთი მასწავლებლის 80 წლის იუბილეზე, ბატონი ჯუმბერის ნათელი გონებით ნასაზრდოები მისი მოსწავლეები წერდნენ: „ჯუმბერ ჭუმბურიძე სწორედ ის პიროვნება ბრძანდება, ვისაც ყოველნაირი უფლება აქვს ინტელიგენტის საპატიო სახელი ატაროს. მას დიდი ოჯახური გარემოდან მოსდგამს ინტელიგენტისთვის დამახასიათებელი თაყვანისცემა ფაქიზი განცდებისა და მომხიბვლელი აზრებისადმი, რომელთა ქვაკუთხედი და მამოძრავებელი ძალა, პირველ ყოვლისა, მამულის სიყვარულია“.

ჯუმბერ ჭუმბურიძის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობაში ლიტერატურის მცოდნეები გამოარჩევენ მის ნაშრომებს, რომელიც რომანტიზმისა და ქართული კრიტიკულ-ლიტერატურული აზროვნების პრობლემებს ეხება. ასევე, გამოკვეთენ მის კვლევებს ვაჟა-ფშაველას სამყაროს შესწავლისთვის. იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ვაჟას კაბინეტს და სწორედ ამ პერიოდში გამოიცა ათამდე წიგნი ვაჟას შემოქმედების შესახებ.

2001 წელს გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ დაბეჭდა თსუ-ის პროფესორების თენგიზ კიკაჩეიშვილის, ლადო მინაშვილისა და იუზა ევგენიძის წერილი „ღვაწლმოსილი მეცნიერი, აღმზრდელი“, რომელშიც ჯუმბერ ჭუმბურიძის სამეცნიერო მოღვაწეობაა მიმოხილული. ამ წერილში მითითებულია ყველა ის მნიშვნელოვანი წიგნი და მონოგრაფია, რომელიც ბატონმა ჯუმბერმა ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად ლიტერატურის მკვლევარებს დაუტოვა. „ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“ (1958 წ.), „ქართული კრიტიკის ისტორია“ (1974 წ.), „მწერლები და კრიტიკოსები“ (1974 წ.), სოლიდური ნარკვევი ქართული რომანტიზმის შესახებ, რომელიც ქართული მწერლობის IX ტომს ერთვის.

1979 წელს ჯუმბერ ჭუმბურიძის მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელო-ქრესტომათია XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მოგვიანებით გამოიცა მისი წიგნები: „ქართული პროზის ისტორიიდან (რომანტიკული პროზის საკითხისათვის)“, „მეცხრამეტე საუკუნე (ლიტერატურული წერილები)“, „ქართული კრიტიკის ისტორია (მესამე გამოცემა)“.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ჯუმბერ ჭუმბურიძის ღვაწლი ვაჟას კაბინეტის ნაყოფიერ მუშაობაში. მისი მოსწავლეები და კოლეგები ამ ღვაწლის შეფასებისას აღნიშნავენ, რომ ჯუმბერ ჭუმბურიძემ ღირსეულად განაგრძო მისი წინამორბედის, გრიგოლ კიკნაძის დაწყებული საქმე, საპატიო ტვირთის ლამაზად ზიდვა: „მან, როგორც ვაჟას კაბინეტის მეცნიერ-ხელმძღვანელმა და შესანიშნავი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების პიროვნებამ, კიდევ ერთხელ ნათელყო ქართული ინტელიგენციის ხასიათის გამძლეობა და შრომის მაღალი კულტურა, როცა კაბინეტის მიერ გამოცემული მშვენიერი კრებულების სახით გაამდიდრა ჩვენი მეცნიერება“, — ნათქვამია წერილში.

ჯუმბერ ჭუმბურიძეს არაერთი ახალგაზრდა აღუზრდია და დაუყენებია მეცნიერების მძიმე და საპასუხისმგებლო გზაზე. ყველა მათგანისთვის ბატონი ჯუმბერი იყო მასწავლებელიც, აღმზრდელიც და მისაბაძი მაგალითიც იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ინტელიგენტი, მეცნიერი, პედაგოგი და ადამიანი.

მისი ერთერთი მოწაფე, მისივე საქმის გამგრძელებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მამუკა ჭანტურაია ბატონი ჯუმბერის გარდაცვალების დღეს წერდა: „ბატონი ჯუმბერი საქართველოთი ცხოვრობდა და საქართველო სტკიოდა, ამიტომ ეროვნული მოძრაობის გამოღვიძებისთანავე უყოყმანოდ დადგა მის გვერდით. მახსოვს, როგორ უხაროდა დამოუკიდებლობის გამოცხადება. თვითონ ემიგრანტის შვილი იყო (მამას ვერ მოესწრო. სულ პატარა იყო, როდესაც ის ემიგრაციაში, საფრანგეთში, წავიდა, იქ გარდაიცვალა და ლევილშია დაკრძალული). ბატონი ჯუმბერი თხემით ტერფამდე ეროვნული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. უნდა გენახათ, უკვე სოლიდურ ასაკს მიღწეული, როგორი შემართებით იდგა 9 აპრილის აქციებზე, იცავდა უნივერსიტეტს, საქართველოს დამოუკიდებლობას, ქართულ ენას, სტუდენტ-ახალგაზრდობას, ყველას მამაშვილურად არიგებდა, მოძღვრავდა. მისი ლექციები ეროვნული მუხტით იყო გაჯერებული. წავიდა დიდი პატრიოტი, იმ ნამდვილი ინტელიგენციის უკანასკნელი მოჰიკანი, რომლებსაც გასული საუკუნის ავბედითი 20-30-იანი წლები რომ არა, საკუთარ თავზე უნდა აეღო ქვეყნის ბედი. ალბათ, ამიტომაც იხარჯებოდა ბოლომდე ლექციებსა თუ საჯარო გამოსვლებში. ბევრი მოსაგონარი სიტყვა მაქვს სათქმელი, მაგრამ ყველაფერს აქ ვერ დავტევ. შეიძლება არც იყოს საჭირო, რადგან ვინც ბატონ ჯუმბერს იცნობდა, მასზე ისედაც ყველაფერი იცის, ვინც არა, მის ნააზრევს მისსავე წიგნებში ამოიკითხავს“.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჯუმბერ ჭუმბურიძის უნივერსიტეტის იდეისადმი ერთგულება. 2007 წელს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ დაბეჭდილ ინტერვიუში იგი ამბობს: „უნივერსიტეტის საქმიანობა ყველა ნორმალურ ქვეყანაში უკავშირდება ავტონომიის პრინციპს. ამას ამბობს ცნობილი გერმანელი მოაზროვნე კარლ იასპერსი ნაშრომში „უნივერსიტეტის შესახებ“, სადაც საუბარია უნივერსიტეტსა და სახელმწიფოს, ანდა უნივერსიტეტსა და მეცენატს შორის ურთიერთობაზე, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის ავტონომიის ხელშეუხებლობას“.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბატონი ჯუმბერის აზროვნებას პეწი არასოდეს დაჰკარგვია. მან ბოლომდე შეინარჩუნა თანამედროვეობისადმი ახალგაზრდული მიდგომა და ანალიზის უნარი. არასოდეს ყოფილა რეტროგრადი და არასოდეს მიუჩნევია საკუთარი მოსაზრება უალტერნატივოდ. მოსმენა და განსჯა იყო მისი ყველაზე დიდი ხიბლი.

კიდევ ერთხელ თუ დავესესხებით გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“, ვნახავთ, რას ფიქრობდა 90 წელს მიღწეული პროფესორი გლობალიზაციის დღეს ასე ყბადაღებულ „საშიშროებაზე“: „გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ერსა და ყველა ქვეყანას შეეხება — ამას ვერ ავირიდებთ, მაგრამ თუ ქვეყანა დიდი ტრადიციისა და კულტურის მქონეა, როგორც საქართველო, მან უნდა მოახერხოს საკუთარი რესურსებით, საკუთარ ტრადიციებზე დაყრდნობით შეინარჩუნოს ენა, მწერლობა თუ, საერთოდ, კულტურა. ბევრ ერს არ შეუძლია ჩვენნაირად იამაყოს, სიამაყეში არ ვგულისხმობ იმას, კუდაბზიკები ვიყოთ და რაც არ გვაქვს, იმით ვიყოყოჩოთ. რაც გაგვაჩნია, რისი ღირსიც ვართ, იმით უნდა მოვიწონოთ თავი“.

ჯუმბერ ჭუმბურიძის ერთერთი ბოლო წიგნი „ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, თარგმანები“ ჩვენს რედაქციაშიც ინახება მისივე ავტოგრაფით.

ჩვენ გვახსოვს ბატონი ჯუმბერი უნივერსიტეტის კედლებში, გვახსოვს იგი მრჩეველთა საბჭოში, გვახსოვს მოწაფეებთან და კოლეგებთან დინჯად მოსაუბრე და გვახსოვს მუდამ პასუხისმგებლობით სავსე, ადამიანებთან კეთილშობილური ურთიერთობის მოსურნე. სამწუხაროდ, ისიც დავკარგეთ. თუმცა, გულს ყველა ვიიმედებთ იმით, რომ ასეთი ადამიანები უკვალოდ არ ქრებიან. ჯუმბერ ჭუმბურიძის მემკვიდრეობა კი კიდევ დიდხანს შეახსენებს თავს მომავალ თაობას.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲜᲘᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ქართველი მეცნიერის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება გაიმართა, სადაც თავი მოიყარეს ღვაწლმოსილი პროფესორის კოლეგებმა და მეცნიერებმა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

„ძნელად თუ მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ერთნაირი წარმატებით შეეძლოთ მოღვაწეობა ქვეყნის სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურულ, მეცნიერულ თუ პედაგოგიურ ასპარეზზე. ბატონი ავთანდილი სწორედ ასეთ გამონაკლის ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. საქართველოს კულტურის მინისტრად მუშაობის დროს იგი ყოველთვის იჩენდა პრინციპულობას, მხარს უჭერდა ნიჭიერი კადრების მოზიდვასა და ჭეშმარიტად შემოქმედებითი კოლექტივების წინსვლას. მისი მტკიცე მხარდაჭერით გადაურჩა აკრძალვას ქართული თეატრის არაერთი სპექტაკლი და კინემატოგრაფიული ნამუშევარი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობის წლებში ბატონი ავთანდილი ენერგიას არ იშურებდა, რომ ამაღლებულიყო ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი და შენარჩუნებულიყო ის ტრადიციები, რასაც საფუძველი ინსტიტუტის დამაარსებელმა – აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა ჩაუყარა. ბატონმა ავთანდილმა შექმნა ეკონომიკური კვლევის ახალი მიმართულება ეკონომიკური განვითარების ტემპებისა და პროპორციების პრობლემის დამუშავების სახით. თუმცა, მისი კვლევის თვალსაწიერი ამით არ შემოიფარგლებოდა და ეკონომიკური მეცნიერების სხვა სფეროებსაც მოიცავდა“, — აღნიშნა პროფესორმა რამაზ აბესაძემ.

აკადემიკოსი ავთანდილ გუნია მეცნიერული გამოკვლევებით გამოეხმაურა იმ გარდაქმნებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 1992 წლიდან ხორციელდება. ბოლო წლებში მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა კოლექტიური ნაშრომი — „სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია“ (1990 წ.), ავტორობით კი — „საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები“ (1991 წ.); „მოსახლეობის ცხოვრების დონე — ეკონომიკური განვითარების ამსახველი ფაქტორი“ (1993 წ) და სხვ.

აკადემიკოსი ავთანდილ გუნია გამორჩეული სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია მრავალი მედლითა თუ ორდენით, ხოლო 1980 წელს მას საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას შრომები ქვეყნდებოდა როგორც საქართველოს გამომცემლობებში, ასევე, სხვა რესპუბლიკებში. იგი ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა საერთაშორისო თუ საკავშირო სიმპოზიუმებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ღვაწლი მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორად ყოფნის პერიოდში იგი ასპირანტებს და თანამშრომლებს ყველა პირობას უქმნიდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ პერიოდში მრავალმა ახალგაზრდამ დაიცვა დისერტაცია. საგულისხმოა, რომ იგი ხშირად კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

„ბატონი ავთანდილის დიდ დამსახურებასა და ღვაწლზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დღეს მისი დაბადებიდან მე-100 წლისთავს ქართული საზოგადოება ღირსეულად და მადლიერების გრძნობით აღნიშნავს“, — განაცხადა პროფესორმა რამაზ აბესაძემ.

გამოჩენილი მეცნიერის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის შესახებ ისაუბრეს თსუ-ის პროფესორმა, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ვლადიმერ პაპავამ, თსუ-ის პროფესორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, აკადემიურმა დოქტორმა ნანული არევაძემ.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოს ა. გუნიას შვილმა, მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა ნათელა გუნიამ.

ღონისძიება 31 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის თაოსნობით გაიმართა.

ოცნება და რეალობა მერაბ კოკოჩაშვილის ფილმებში

„ქართული ფილმების ჩვენებას სტუდენტებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი, ჩვენი ახალგაზრდობა ნაკლებად იცნობს საკუთარ კინემატოგრაფიასა და ლიტერატურას - ეს ჩვენი ნაკლია, რომ სათანადოდ ვერ ვაფასებთ ეროვნულ კულტურას“, — აღნიშნა მწერალმა ირაკლი ლომოურმა მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის „უსუი“-ს ჩვენებაზე, რომელიც თსუ-ის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში 30 ოქტომბერს გაიმართა. 8 ნოემბერს კი სტუდენტებს რეჟისორის ახალი ნამუშევრის — „ღვინის აკვანის“ ნახვის საშუალებაც მიეცათ.

მეოცნებედ დავრჩი და იმედი მაქვს, ქართულ კინემატოგრაფიას ახლა მაინც ეშველება.

შურთხია ბეროშვილი

მერაბ კოკოჩაშვილმა ფილმი „უსუი“ 2005 წელს ირაკლი ლომოურის ამავე მოთხრობის მიხედვით გადაიღო. მასში აღწერილია ცხოვრებისეული ამბავი აბსურდული დასასრულით: ახალგაზრდა მხატვარი ქუჩაში დაინახავს აფიშას, რომელზეც აწერია „უსუი“ და ცდილობს გაიგოს ამ სიტყვის მნიშვნელობა. ამ ძიებაში მთავარი გმირი მიდის იმ დასკვნამდე, რომ კოშმარული რეალობიდან თავის დაღწევა ადამიანს მხოლოდ თავისი ნებით შეუძლია და სხვა ვერავინ დაეხმარება...

აღსანიშნავია, რომ ფილმი ოპტიმისტურად მთავრდება, მოთხრობას კი განსხვავებული, პესიმისტური ფინალი აქვს — ამის მიზეზებზე მწერალმა და რეჟისორმა ფილმის ჩვენების შემდეგ გამართულ დისკუსიაზე ისაუბრეს.

ირაკლი ლომოურის აზრით, ფილმის გადაღებისას, რეჟისორი თვისობრივად ახალ ნაწარმოებს ქმნის, ამიტომ ტექსტი და ფილმი ორი დამოუკიდებელი ნაწარმოები ხდება. „მერაბ კოკოჩაშვილმა კონცეპტუალურად ახალი იდეა შთაბერა ნაწარმოებს. ფინალიც და ამასთან, განწყობაც განსხვავებულია. შევარდნაძის პერიოდში საზოგადოება გამოუვალ სიტუაციაში იყო და როდესაც ამ მოთხრობას ვწერდი, მქონდა განცდა, რომ სრულიად უიმედო სიტუაციაში ვიყავით. ფილმი მოგვიანებით არის გადაღებული, მას შემდეგ, რაც „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და რომელმაც ჩვენ, ყველანი აღგვაფრთოვანა — დავიჯერეთ, რომ მოდიან ახალგაზრდა დემოკრატები, საზღვარგარეთ განათლებამიღებულები და მალე ჩვენ ვიცხოვრებდით ბედნიერ, თავისუფალ საქართველოში. სწორედ ამიტომ ფილმი იმედიანად მთავრდება და პოზიტიური მუხტი აქვს“, — აღნიშნა ირაკლი ლომოურმა.

ფილმის გადაღების პროცესი მერაბ კოკოჩაშვილმაც გაიხსენა და ამასთან ქართული კინოს მდგომარეობაზეც ისაუბრა. „როდესაც ამ ფილმს ვიღებდი, სხვებთან ერთად დიდი იმედი მქონდა, რომ ქვეყანაში სასიკეთო ძვრები მოხდებოდა, ამიტომ ფილმის ფინალი მოთხრობისგან განსხვავებულია. მეოცნებედ დავრჩი და იმედი მაქვს, ქართულ კინემატოგრაფიას ახლა მაინც ეშველება. სამწუხაროა, რომ ქართველი რეჟისორების მოღვაწეობას ნაკლებად იცნობს ახალგაზრდობა. საქართველოში დღეს ათამდე ქართული არხია, მაგრამ საპატრიარქოს ტელევიზიის გარდა არც ერთი არხი და არც ერთი კინოთეატრი არ ინტერესდება ჩემი და სხვა ქართველი რეჟისორების ნამუშევრებით, მიზეზად კომერციული ინტერესები სახელდება. ამის მიზეზი, ჩემი აზრით კი ის არის, რომ დღემდე კულტურის განვითარების მიმართ ინტერესი არ არსებობდა. მიმაჩნია, ეს დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს, ამაში კი დიდი როლი სასწავლო დაწესებულებებსა და მასმედიას ეკისრება“, — აღნიშნა მერაბ კოკოჩაშვილმა.

„ღვინის აკვანი“ — ასე ჰქვია მერაბ კოკოჩაშვილის ახალ ნამუშევარს, რომლის კინოჩვენება ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

კავკასია და საქართველოა ღვინის და ხორბლის სამშობლო, რის გარეშე კაცობრიობის არსებობა წარმოუდგენელია, ამბობს რეჟისორი, რომელიც თავის მოსაზრებას ფილმში მრავალი არგუმენტით ამტკიცებს. მაყურებელი ღვინის შესახებ მოპოვებულ ისტორიულ მასალას და ღვინის წარმოების უძველეს ტექნოლოგიას ეცნობა.



ფილმში შესულია როგორც არქეოლოგიური, ისე სამეცნიერო კვლევის მასალები, რომლებზეც ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი გურამ მირცხულავა და ანთროპოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი გვიამბობენ.

მათი ინფორმაციით, მეცნიერების მიერ შულავერის გორაზე, ხიზანაანთ გორაზე, ივრის ხეობაში და სხვა ადგილებში აღმოჩენილი ყურძნის წიპწები ძველი წელთაღრიცხვით V-IV, XIV-XI ათასწლეულებით თარიღდება.

„ყოველდღე დედამიწის ექვსი მილიარდი მოსახლეობიდან ერთი მილიარდი მაინც სვამს ღვინოს და არა მგონია, მათ იცოდნენ როდის და სად შეიქმნა ეს ღვთიური სითხე. კავკასია და საქართველოა ღვინის სამშობლო, ფილმი ქართველების როლზე ვაზისა და ღვინის კულტურის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე მოგვითხრობს. საოცარია ის ფაქტი, რომ თურმე ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ 80-90 საუკუნის წინ სვამდნენ ღვინოს და ამ ღვთიური სითხის გარეშე არც მაშინ არსებობდა რიტუალები, რწმენა, სიმღერა, შრომა, ჭირი თუ ლხინი. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ყველამ უნდა გაიგოს“, — ამბობს რეჟისორი.

მერაბ კოკოჩაშვილი ფილმზე ერთი წელი მუშაობდა. პროექტი ეროვნული კინოცენტრის 2010 წლის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების კონკურსის გამარჯვებულია და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ფილმში ქართული თეატრისა და კინოს მსახიობები: ჯემალ ბაღაშვილი, გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე, ვანიკო მაჭავარიანი, ვახტანგ ცხადაძე მონაწილეობენ.

ფილმი უკვე გაგზავნილია სხვადასხვა ფესტივალზე, რაც რეჟისორის აზრით, ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას.

კონკურსი

გადაიღე უნივერსალური კადრი უნივერსიტეტის შესახებ!

მონაწილეობის მსურველებმა 25 ნოემბრის ჩათვლით ფოტოები გადმოაგზავნეთ საკონკურსო მისამართზე unikadri@tsu.ge

ფოტოკონკურსის საპრიზო ფონდი 600 ლარი და სხვა პრიზები გამარჯვებულ სამეულზე გადანაწილდება.

მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი **მანანა ჯურხაძე**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **სოსო გამგებელი**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62